

სტუდენტური სამაგისტრო პროგრამები



2021

■ ბირთვული მეცნიერება და მისი გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე	2
■ გაურკვეველი საკითხები სამეცნიერო სამართლის ახალ კანონში	4
■ კოსმოპოლიტიზმის სწორი გაგება და მისი როლი მსოფლიოს განვითარებაში	5
■ თანამედროვე ტექნოლოგიების როლი განათლებაში	6
■ შიშის მიღმა დამალული სიჩუმე და თაღიბანური სამყაროს გავლენა ქალთა ფსიქიკაზე	8
■ კლიმატის ცვლილების გავლენა ბიომრავალფეროვნებაზე	9
■ საგანმანათლებლო რეალობა კოვიდპანდემიის პირობებში	12
■ პედაგოგის პროფესიისადმი დამოკიდებულება საქართველოში	14
■ მუსიკის როლი მხატვრობის განვითარებაში	16
■ Covid-19-ის გავლენა ეკონომიკაზე	17
■ თანამედროვე ტექნოლოგიების მნიშვნელობა საგანმანათლებლო სივრცეში	19
■ სოციალური მედიის გავლენა მოზარდებში დეპრესიის მზარდ დონეზე	21
■ YourCar - ახალი აპლიკაცია, გეგმები და პერსპექტივები	22
■ კომპიუტერული თამაშები და ადამიანის ფსიქიკა პესების მშენებლობის, როგორც საქართველოს ეკონომიკის	24
■ სტრატეგიული დარგის განვითარების მნიშვნელობა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გავლენა	28
■ TBC ბანკის მომხმარებლებზე	30
■ ტარებადი მოწყობილობები სამუშაო სივრცეში	32
■ დასაქმებულთა ინფორმირებულობა შრომით კოდექსთან დაკავშირებით	34
■ „მწვანე სტარტაპების“ განვითარების პერსპექტივები საქართველოში	37
■ ელექტრომანქანების ადაპტაციის შესაძლებლობა საქართველოში ბლოკჩეინ ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები	39
■ და თანამედროვე გამოწვევები საბანკო და საფინანსო სექტორებში ხელოვნური ინტელექტის ელემენტების შემცველი ბიზნეს-მოდელების შემუშავება საგადახდო ინდუსტრიისთვის და მათი კორელაცია	41
■ ციფრული ეკონომიკის ეფექტიანობასთან	44

ლუკა ბაკლაგა

luka.baklaga.1@btu.edu.ge

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტის) საბაკალავრო პროგრამა

საკვანძო სიტყვები: ბირთვული ფიზიკა; გლობალური დათბობა; სამყაროს მომავალი

მრავალ კვლევით ნაშრომშია აღნიშნული, რომ ბირთვულმა მეცნიერებამ და მისმა შესწავლამ შეიძლება უდიდესი გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ბირთვული მეცნიერების მიღწევები გამოიყენება სასმელი წყლის დისტილირებაში, კოსმოსის კვლევაში, სოფლის მეურნეობაში და, რაც მთავარია, მედიცინაში, ატომის ბირთვის შესწავლა კი სამყაროს გაგებისა და შესწავლის საფუძველია, ის პასუხს სცემს მრავალ შეკითხვას და აფართოებს ჩვენს ცოდნას.

კვლევის მიზანია ბირთვული მეცნიერების განვითარების აუცილებლობის ჩვენება და მისი როლის განსაზღვრა თანამედროვე სამყაროში. ნაშრომში პასუხი გაეცემა შეკითხვებს, როგორებიცაა: რა გავლენა ექნება ბირთვულ მეცნიერებას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, თუ მეცნიერული კვლევები ამ მიმართულებით უფრო გაღმავდება და როგორ შეუძლია ბირთვულ მეცნიერებას, შეცვალოს მომავალი. აგრეთვე, როგორ შეიცვლება დედამიწის მომავალი და რით დაგვეხმარება ბირთვული მეცნიერება გლობალური დათბობის თავიდან აცილებაში.

ნაშრომის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია ამ დარგში არსებული კვლევები (Cerny Joseph and Lawrence Berkekey.1986. Nuclear Physics. Washington, DC: TheNational Academies Press). აგრეთვე, კვლევის ფარგლებში ჩატარებულია თეორიული ექსპერიმენტი/კვლევა, კერძოდ, საერთაშორისო მწვანე ორგანიზაციის მონაცემები დედამიწის დაბინძურების სტატისტიკური შედარებულია ატომური ელექტროსადგურების დაბინძურების პროცენტულ მაჩვენებელს, ოზონის შრის ყოველწლიური შეთხელების მაჩვენებელი დაკავშირებულია ბირთვული მეცნიერების საკითხებთან. გარდა ამისა, ნაშრომის ფარგლებში შესწავლილია ატომების ურთიერთობა სამედიცინო პრეპარატებში. მოლეკულური/ატომური ფიზიკის პროფესორთან ინტერვიუს ანალიზისა და სხვა მონაცემების შეჯერების შედეგად გამოტანილია საბოლოო დასკვნები.

ატომური ელექტროსადგურები თითქმის არ გამოყოფენ სათბურის აირებს, სტატისტიკურად, ბოლო 50 წლის განმავლობაში მცირდება ნახშიროჟანგის გამოყოფა, რაც დღევანდელი მონაცემებით ეკვივალენტია 60 გიგატონისა. კალკულაციის შედეგად ჩანს ატომური ენერგიის სარგებლიანობის 35%-ით უფრო მაღალი მაჩვენებელი, ვიდრე სხვა არსებული საშუალებებისა. როგორც ნახშირბადისგან თავისუფალი ენერგიის უდიდესი წყარო, ბირთვული ენერგია გადამწყვეტია სათბურის გაზების ემისიის შესამცირებლად. მეცნიერების ეს დარგი დიდ როლს შეასრულებს ოზონის შრის აღდგენის საკითხში, რადგან ბირთვული ფიზიკა შეისწავლის ატომური ბმების აღდგენის საშუალებებს და ბირთვს უბრუნებს პირველად მდგომარეობას, რაც ოზონის შრის შესქელების/გადარჩენის აუცილებელ ხელსაწყოდ აქცევს.

ბირთვულ მეცნიერებას მნიშვნელოვანი როლი უკავია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მოცემულ დარგში მეტი ინვესტიციის ჩადებითა და კვლევების ხელშეწყობით ის მსოფლიოს გადარჩენის ერთ-ერთ აუცილებელ და ეფექტიან საშუალებად იქცევა. მოცემულ შეხედულებას სრულფასოვნად ამყარებს ინტერვიუსა და თეორიული კვლევის შედეგად მოძიებული თუ დადგენილი სტატისტიკურ/პროცენტული მაჩვენებლები. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ახლახან ბირთვული ფიზიკის დახმარებით მეცნიერთა მიერ აღმოჩენილი ნაწილაკი, სახელად „ჰიგსის ბოზონი“, რაც სრულიად ცვლის ადამიანის შეხედულებას სამყაროზე. ჰიგსის ბოზონის დახმარებით განისაზღვრა მოლეკულების მასა და დამტკიცდა ჰიპოთეზა, რომ ადამიანის სხეული ენერგიისგან შედგება და მოცემულ ენერგიას ბოზონის ნაწილაკი იკავებს. მოცემულმა აღმოჩენამ ასევე დაგვანახვა ურთიერთკავშირი ადამიანსა და კოსმოსურ ენერგიას შორის.

ბირთვული მეცნიერების განვითარებაში უფრო მეტი რესურსის ჩადებით შესაძლებელია მნიშვნელოვანი აღმოჩენების გაკეთება, რომლებიც სრულიად შეცვლის კაცობრიობის ბედს.

ლიკა ხანიკაშვილი

lika.khanikashvili.1@btu.edu.ge

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტის) საბაკალავრო პროგრამა

საკვანძო სიტყვები: საქართველოს მენარმეთა შესახებ კანონი; ხარვეზები ახალ რედაქციაში; გამოსწორების გზები.

2022 წლის 1-ლი იანვრიდან ძალაში შედის საქართველოს მენარმეთა შესახებ კანონის ახალი დოკუმენტი, რომელიც მიმდინარე წლის 2 აგვისტოს დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა.

კანონპროექტი იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა, რათა 1994 წლიდან მოქმედ კანონში არსებული ბუნდოვანი და მოძველებული საკითხებისთვის გადაეხედათ და მიეღოთ თანამედროვე ბიზნესსაქმიანობასთან შესაბამისი რეგულაციები. ნაშრომის მიზანია, გამოავლინოს მენარმეთა კანონის შესახებ კანონის ახალ რედაქციაში არსებული ხარვეზები. შეთავაზებული რეკომენდაციების გათვალისწინება უფრო მოქნილსა და კომფორტულს გახდის მენარმეთა საქმიანობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველ კანონში შეტანილი ცვლილებების მიუხედავად, ახალ კანონშიც მოიძებნება სასამართლო დავების წარმომშობი საკითხი, მაგალითად, მეორე თავის მეჩვიდმეტე მუხლი საქმიანი წერილისა და ვებგვერდის შესახებ. მისი პირველი პუნქტის მიხედვით, კომანდიტური საზოგადოების, შემლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების ყველა საქმიან წერილზე უნდა მიეთითოს, სულ მცირე, შემდეგი მონაცემები:

ა) საფირმო სახელწოდება; ბ) იურიდიული მისამართი; გ) საიდენტიფიკაციო ნომერი. საკითხის პრობლემურობას განაპირობებს „საქმიანი წერილის“ ცნების დეფინიცია. კანონში არ არის მინიშნებული, თუ რა მოიაზრება საქმიან წერილში. დამატებით კითხვებს აჩენს ამავე კანონის, თავისა და მუხლის მეექვსე პუნქტი. „ამ მუხლის მოთხოვნები ეხება როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით შედგენილ საქმიან წერილს“, რადგან ამჟამად უმეტეს შემთხვევაში ბიზნესკომუნიკაციები წარიმართება ელექტრონული არხების საშუალებით და მეტად დამაბნეველი ხდება საქმიანი წერილის მნიშვნელობის განსაზღვრა. თუ მასში მოვიაზრებთ კომპანიის მიერ გაგზავნილ ყველა ტიპის ელექტრონულ წერილს, თუნდაც სოციალური ქსელების მეშვეობით განხორციელებულ მიმოწერებს, მაშინ მენარმეს მოუწევს ყოველ გაგზავნილ შეტყობინებაზე გემოაღნიშნული ინფორმაციის მითითება, რისი რეალური საჭიროებაც არ არსებობს და დისკომფორტის შემქმნელია დამოუკიდებელი სუბიექტისთვის.

ასევე, საგულისხმოა, რომ მეჩვიდმეტე მუხლი განსაზღვრავს აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემას, რაც მსგავსი ბუნდოვანი კანონის შემთხვევაში არასამართლიანია. უმჯობესი იქნება, თუ თავიდან გადაიხედება მენარმეთა შესახებ ახალი კანონის მეჩვიდმეტე მუხლი და თვალსაჩინოდ განიმარტება კანონში მოხსენიებული ცნებები. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს რეკომენდაციას გასცემს ევროკავშირიც წევრი სახელმწიფოებისთვის ასოცირების ხელშეკრულების ოცდამეექვსე მუხლში. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს არიდებული სამართლებრივი დავები, უნდა განისაზღვროს საქმიანი წერილი, როგორც ბიზნესთაშორისი კომუნიკაციის წერილობითი საშუალება პარტნიორული მოლაპარაკებების, ურთიერთობებისა და შეთავაზებებისთვის.

მარიამ ხუხუნი

mariam.khukhuni.1@btu.edu.ge

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტის) საბაკალავრო პროგრამა

საკვანძო სიტყვები: კოსმოპოლიტიზმი, კოსმოპოლიტიზმის არასწორი გაგება, პატრიოტიზმი, კოსმოპოლიტიზმის როლი მსოფლიოში.

კოსმოპოლიტიზმი ბოლო ათწლეულების განმავლობაში საზოგადოების ნაწილისთვის საკამათო თემას წარმოადგენს, მისი აქტუალობა კი მსოფლიოს გლობალიზაციისკენ მისწრაფებით არის განპირობებული. დღესდღეობით კოსმოპოლიტიზმთან დაკავშირებით საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მცდარი შეხედულებები არსებობს და ხშირად მას პატრიოტიზმის მტრად მოიხსენიებენ, განსაკუთრებით ისლამურ სახელმწიფოებში, სადაც კოსმოპოლიტიზმს საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად და მშობლიური ფესვების, კულტურისა და, რაც მთავარია, რელიგიის უარყოფ საშუალებად მიიჩნევენ. სწორედ ამიტომ, ისლამური ქვეყნის ლიდერები მოსახლეობაში ნერგავენ სხვა ერების სიძულვილს და ხშირად მათ წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებენ. სამწუხაროდ, კოსმოპოლიტიზმის არასწორი გაგება და სხვადასხვა ერის ზეგავლენის ქვეშ მოქცევის შიში ადამიანებში აღვივებს აგრესიას და აიძულებს მათ, გადადგან არასწორი ნაბიჯები. ზემოთ აღნიშნულ პრობლემებს ცხადყოფს მსოფლიოში მედიის საშუალებით სხვადასხვა ქვეყნის მიმართ სიძულვილის ენით საუბარი.

მოცემული საკითხის უკეთ გაანალიზებისთვის ნაშრომში წარმოდგენილია ცნობილი საზოგადო მოღვაწეების - ვაჟა-ფშაველას, კანტისა და ფიშერის - შეხედულებები კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით. აგრეთვე, განხილულია კოსმოპოლიტიზმის ოთხი მიმართულება, რომლებიც, აღნიშნული წყაროებისგან განსხვავებით, მკითხველს ხელს შეუწყობს ერთიანი სურათის აღქმაში.

კვლევის მთავარი მიზანია კოსმოპოლიტიზმთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა სტერეოტიპის მსხვრევას. მნიშვნელოვანია ადამიანებს ესმოდეთ, რომ კოსმოპოლიტი არ ნიშნავს მსოფლიოს პოლიტიკური თუ კულტურული ერთიანობისკენ მისწრაფებასა და საკუთარი ფესვების უარყოფას. აღნიშნული ნაშრომი მკითხველს დაეხმარება იმის გააზრებაში, რომ სხვა ერის სიყვარული არ ეწინააღმდეგება პატრიოტიზმს. პირიქით, პატრიოტიზმი თავის თავში მოიცავს კოსმოპოლიტიზმსაც. ამ შემთხვევაში, თავისთავად, ადამიანს წვლილი შეაქვს მსოფლიოს განვითარებაში. კვლევის ფარგლებში მიღებული ცოდნა სარგებელს მოუტანს იმ ადამიანებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ გააჩნიათ საკუთარი მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის სიმწირიდან გამომდინარე. საზოგადოებაში სწორი შეხედულებების არსებობას კი განაპირობებს მათში არსებული შიშის გაქრობა. ნაშრომში წარმოდგენილი კითხვებზე პასუხი ამ თემით დაინტერესებულ პირებს დაეხმარება მოცემული საკითხის უკეთ გაგებაში. პირველ რიგში, აუცილებელია მათ ესმოდეთ, თუ რა კავშირი არსებობს პატრიოტიზმსა და კოსმოპოლიტიზმს შორის; რა როლს თამაშობს ინფორმირებული საზოგადოება და როგორ აისახება კოსმოპოლიტი საზოგადოების არსებობა მსოფლიოზე.

მნიშვნელოვანია, თითოეულ ჩვენგანს ესმოდეს, რომ ვართ მსოფლიოს შემადგენელი ნაწილი, შესაბამისად, უნდა შეგვეძლოს სხვადასხვა ერის სიყვარული, მიუხედავად განსხვავებებისა. აღნიშნული ქმედება არ ეწინააღმდეგება პატრიოტიზმს და არ ნიშნავს ნაციონალიზმის უარყოფას.

ნინი ხუფასარია

nini.khupatsaria.1@btu.edu.ge

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტის) საბაკალავრო პროგრამა

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე ტექნოლოგიები; განათლება; საგანმანათლებლო სისტემის გამომწვევები.

თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიები საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მათ შორის განათლებაში. XXI საუკუნის მსოფლიოში განათლება და თანამედროვე ტექნოლოგიები ძალიან მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. თანამედროვე ტექნოლოგიები გვუზიარებს სასურველი ინფორმაცია მოვიძიოთ სწრაფად და მარტივად, ასევე გვიმარტივებს სხვადასხვა ამოცანის შესრულებას თუ პრობლემის გადაჭრას, გვაძლევს შესაძლებლობას, მუდმივი წვდომა გვქონდეს სიახლეებთან. გარდა ამისა, ცნობილია, რომ საგაკვეთილო პროცესში ძალიან ეფექტურია მისი გამოყენება როგორც სკოლის მოსწავლეებთან, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებთან. ამჟამად მთელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა, რომლებიც კოვიდის პანდემიას უკავშირდება, განათლების სფერო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. პანდემიის შედეგადაც დაიკეტა სასწავლო დაწესებულებები, შესაბამისად, მათი უმრავლესობა გადავიდა ონლაინ რეჟიმზე, რაც სრულად არის დაკავშირებული თანამედროვე ტექნოლოგიებთან. შესაბამისად, განათლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირების პროცესი კიდევ უფრო აქტუალური გახდა.

სხვადასხვა კვლევის თანახმად, ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო პროცესში მრავალი დადებითი მხარე აქვს. ის ადამიანს დიდ დროსა და ძალისხმევას უზოგავს. მისი გამოყენება სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოსა და მრავალფეროვანს ხდის.

მკვლევართა ერთი ნაწილი (იხ., მაგალითად, კემპბელი:

https://www.westga.edu/~distance/ojdla/winter144/campbell_campbell144.html;

მაღარდი:

<http://www.brighthub.com/environment/green-computing/articles/9351.aspx>).

მაღარდი ონლაინგანათლებას უკავშირებს ეკოლოგიურ და ეკონომიკურ სარგებლებასაც. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება არსებითად განსაზღვრავს განათლების მომავალს. ნაშრომის მთავარი მიზანია მკითხველის დარწმუნება, რომ განათლება და თანამედროვე ტექნოლოგიები ძალიან მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და უახლესი ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირება მნიშვნელოვან როლს ასრულებს. აღნიშნული მოსაზრების საილუსტრაციოდ ნაშრომში რამდენიმე მნიშვნელოვანი არგუმენტი წარმოდგენილი. მეცნიერთა აზრით, საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვამ დააჩქარა სწავლის პროცესი და ააძლიერა მისი ხარისხიც, რაც, მათი ვარაუდით, განპირობებულია იმით, რომ მოსწავლეებს განუვითარდათ ახალი უნარები და დაიქარა მათი ინტეგრაცია საზოგადოებასთან. გარდა ამისა, მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემის ტენდენციები გვიჩვენებს, რომ სასწავლო პროცესის წარმატება დღესაც და მომავალშიც დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად წარმატებული იქნება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში. კვლევის ფარგლებში პასუხები გაეცემა ისეთ აქტუალურ კითხვებს, როგორებიცაა:

- რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე ტექნოლოგიები განათლებაში?
- რამდენად აქტუალურია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება განათლებაში?
- რა შედეგები მოაქვს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას?

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ საგანმანათლებლო პროცესში ეფექტიანად გამოყენების გზით შესაძლებელია ისე გავუმკლავდეთ საგანმანათლებლო სფეროში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს, რომ სწავლების ხარისხი არ დაეცეს და მოსწავლეებმა/სტუდენტებმა შეძლონ სრულფასოვანი განათლების მიღება ონლაინ რეჟიმში, რის შესაძლებლობასაც თანამედროვე ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირება იძლევა.

ანანო ჩალიგავა

anano.chaligava.1@btu.edu.ge

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტის) საბაკალავრო პროგრამა

საკვანძო სიტყვები: გენდერული უთანასწორობა, ავღანეთი, ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა.

გენდერული უთანასწორობა საუკუნეების განმავლობაში მუდმივად აქტუალურ თემად რჩება. მას თან ახლავს სტერეოტიპებისა და იარღიყების დამკვიდრება, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ქალთა თვითშეფასებაზე, რაც პირდაპირ ასოცირდება ფსიქოლოგიურ ტრავმასთან. აღნიშნული პრობლემა კი ყველაზე მეტად იჩენს თავს ავღანეთში. „თალიბანური მოძრაობა“ - ეს ის ორი სიტყვაა, რომელთა გაგონებაც ბოლო 42 წელია ადამიანს შიშის გარს სცემს. 1979 წლიდან მოყოლებული, პრაქტიკულად ავღანეთში ერთი მშვიდობიანი დღე არ გათენებულა, რასაც ცხადყოფს არაერთი ორგანიზაციისა თუ მედიის მიერ გაშუქებული ფაქტები, მაგალითად, BBC NEWS-ის მიერ გავრცელებული (15.08.2021) პირდაპირი ეთერის ჩანაწერი ადასტურებს, რომ თალიბანი ქვეყნის დემოკრატიულად განვითარებას მხარს არასდროს დაუჭერს და ავღანეთის მართვას ისლამური შარიათით შეეცდება. ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და უარყოფითი გავლენა თალიბანის არადემოკრატიულმა მმართველობამ იქონია გენდერულ თანასწორობაზე. კონკრეტულად კი, მათ ქალთა უფლებები სრულად დააკნინეს და ავღანელ ქალებს დაუმსხვრიეს ოცნებები და შეუზღუდეს განვითარების შესაძლებლობა. ნაშრომში წარმოდგენილი საკითხები ლოგიკურად ებმის ამ პრობლემას და განსხვავებით სხვა წყაროებისგან, მკითხველს რეალური ფაქტებისა და ინტერვიუების დახმარებით ექნება შესაძლებლობა, გაეცნოს, თუ როგორ აისახება თალიბანის რეჟიმი ქალების ფსიქიკურ მდგომარეობაზე, როგორ მაღავენ შიშის უკან სიჩუმეს და როგორ აისახება ეს მათი განვითარების პერსპექტივაზე. როგორც ცნობილია, თალიბანური მოძრაობის რწმენით, ქალებს არ აქვთ განათლების მიღებისა და მუშაობის უფლება, რის გარეშეც ისინი ვერ შეძლებენ როგორც საკუთარი თავის რეალიზებას, ასევე სახელმწიფოს განვითარებაში წვლილის შეტანას. ნაშრომის მიზანია, ერთი მხრივ, წარმოაჩინოს თალიბანურ რეჟიმში მცხოვრები ქალების შეზღუდული უფლებები, რომელთა დასაცავად ქვეყანაში არანაირი ბერკეტი არ არსებობს, ხოლო, მეორე მხრივ, ხაზი გაესვას მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში უფრო და უფრო მძიმდება, რადგან ქალები თავს იზოლირებულად გრძნობენ იმ სამყაროში, რომელშიც ცხოვრობენ. ნაშრომის გაცნობის შემდეგ მკითხველი გააცნობიერებს ამ პრობლემის სირთულეს და გააანალიზებს, თუ რა უარყოფით შედეგთანაა დაკავშირებული ავღანეთში არსებული გენდერული უთანასწორობა და რის გადატანა უწევთ ქალებს ცივილიზებული სამყაროსაგან იზოლირებულ ქვეყანაში. ნაშრომში წარმოდგენილია საკითხები, რომლებიც მკითხველს დაეხმარება თემის უკეთ გაანალიზებაში. პირველ რიგში, აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რა არის მიზეზი იმისა, რომ ქალებს ეზღუდებათ უფლებები და რატომ მიიჩნევიან ისინი დღემდე სუსტი სქესის წარმომადგენლად? როგორია ბურკიდან დანახული სამყარო და რატომ იმალება შიშის მიღმა სიჩუმე? ცხადია, ქალებს ავღანეთში ცხოვრებისას ბევრ სირთულესთან უწევთ გამკლავება. სამწუხაროდ, ისინი იძულებულნი არიან, თვითგადარჩენის ინსტინქტის გამო გაჩუმდნენ და ცვლილებებისთვის არაფერი მოიმოქმედონ.

დღემდე ამ საკითხის აქტუალობა იმაზე მეტყველებს, რომ აუცილებლად უნდა დაინერგოს ამ რთული ყოფისგან თავდასაღწევი მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც სრულად იქნება „ამ წუთისოფლის ტყვეების“ უფლებები დაცული და მათი ფსიქიკური მდგომარეობა გაუმჯობესებული. ამ პრობლემის მოგვარება საკმაოდ რთულია სასტიკი მმართველობის პირობებში, თუმცა, ამჟამინდელი მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია არსებული რეჟიმის დამარცხებითა და შესაბამისი მექანიზმების დამკვიდრებით, რომელთა მთავარი იარაღიც ხმის ამოღება და შიშის უკანა პლანზე გადანაცვლება იქნება.

თამარ ხაძური

temuri.khaduri.1@btu.edu.ge

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტის) საბაკალავრო პროგრამა

საკვანძო სიტყვები: გლობალური საფრთხე; სახეობების დაკარგვა; გამონევენთან გამკლავება.

ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს კლიმატის ცვლილების გავლენა ბიომრავალფეროვნებაზე. სხვადასხვა კვლევის მიხედვით, კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ბიოლოგიური მრავალფეროვნების მრავალ ასპექტზე, კერძოდ, ეკოსისტემაზე, სახეობებზე, გენეტიკურ მრავალფეროვნებაზე სახეობებში და ეკოლოგიურ ურთიერთქმედებებზე. ამ ზემოქმედების შედეგები მნიშვნელოვანია ბუნებრივი სამყაროს გრძელვადიანი სტაბილურობისთვის, რადგან ბიომრავალფეროვნება მნიშვნელოვანია ადამიანისა და სხვა ცოცხალი ორგანიზმების არსებობისათვის.

კლიმატის ცვლილების ზემოქმედების დასადგენად მთელ მსოფლიოში მრავალი კვლევა ტარდება. მათგან ერთ-ერთია IPCC-ის (Intergovernmental Panel on Climate Change) კვლევა, რომლის თანახმადაც, ზემოქმედების მტკიცებულება გამომდინარეობს სამი ძირითადი წყაროდან:

1) პირდაპირი დაკვირვება ბუნებაში ბიომრავალფეროვნების კომპონენტების ცვლილებებზე, რაც ცალსახად შეიძლება იყოს დაკავშირებული კლიმატური ცვლილების ცვლილებასთან 2) ექსპერიმენტული კვლევები, რომლებშიც მანიპულაციები გამოიყენება პასუხების გასარკვევად 3) მოდელირების კვლევები, რომლებშიც დღევანდელი გაგება მოთხოვნებისა და შეზღუდვების შესახებ სახეობებისა და ეკოსისტემების განაწილებაზე შერწყმულია კლიმატური ცვლილების მოდელირებულ ცვლილებებთან, რათა შესაძლებელი გახდეს კლიმატის ცვლილების ზემოქმედების დაპროექტება და პოპულაციის გავრცელებისა და ცვლილების პროგნოზირება.

კლიმატის ცვლილება დროთა განმავლობაში მთავარ გლობალურ საფრთხედ გარდაიქმნა, რომელსაც უკვე მოჰყვა უარყოფითი გავლენა ბუნებრივ ეკოსისტემებზე. გასული საუკუნის განმავლობაში გლობალური საშუალო ტემპერატურა გაიზარდა 0,7 ცელსიუსით და, სავარაუდოა, რომ კვლავ გაიზრდება. ცნობილია, რომ ტემპერატურის მატება დაკავშირებულია ნალექების რეჟიმის ცვლილებებთან, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ რეგიონულ პროცესებზე, კერძოდ, ნალექების ზრდა/შემცირებაზე, ქარიშხლების, ტორნადოების, გვალვის გახშირებულ შემთხვევებსა და სიმძიმეზე. ნალექების რეჟიმები და მათი გავლენა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბევრ ბუნებრივ სისტემაში ცვლილებების პროგნოზირებისთვის.

ასევე, მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ ადგილობრივი კლიმატური რეჟიმები, რომლებიც მოიცავს კლიმატის ცვლილების სრულ კომპლექსს, გავლენას ახდენს სახეობებისა და ეკოსისტემების გადარჩენაზე. კლიმატის ცვლილებასთან ერთად იშვიათი კლიმატური ზონები, სავარაუდოდ, შემცირდება და შეიძლება გამოიწვიოს იშვიათი ენდემური სახეობების დაკარგვა (Ohlemuller et al. 2008).

ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს კლიმატის ცვლილების შედეგები, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია მრავალი ბუნებრივი სისტემისთვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული ისეთი ბუნებრივი კატასტროფები, რომლებიც ამ პროცესს ახლავს თან.

მოცემულ ნაშრომში პასუხი გაეხემა შემდეგ საკვლევ კითხვებს:

- რა გავლენა აქვს კლიმატის ცვლილებას ბიომრავალფეროვნებაზე?
- ეკოსისტემის რომელ ნაწილზე ვრცელდება კლიმატის ცვლილების გავლენა და როგორ?
- როგორ არის შესაძლებელი მოცემული პრობლემის აღმოფხვრა?

ნაშრომში განხილული საკითხები მნიშვნელოვანი იქნება როგორც საკითხით დაინტერესებული პირებისათვის, ისე დარგის სპეციალისტებისათვის.

ელენე სიჭინავა

iana.elene.sichinava.1@btu.edu.ge

ელენე ელიშვილი

elene.elieshvili.1@btu.edu.ge

ნიკოლოზ ნინუა

nikoloz.ninua.1@btu.edu.ge

საბა სულხანიშვილი

saba.sul Khanishvili.1@btu.edu.ge

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტის) საბაკალავრო პროგრამა

საკვანძო სიტყვები: დისტანციური სწავლება პანდემიის პირობებში; საქართველო და მსოფლიო გამოცდილება.

ტექნოლოგიების ეპოქაში, 21-ე საუკუნეში, ადამიანის ყოველდღიურობა და საქმიანობის ნებისმიერი სფერო მოიცავს ციფრული საშუალებების გამოყენებამ. უცხოეთის არაერთი წამყვანი უნივერსიტეტი თუ სკოლა/კოლეჯი უკვე არაერთი წელია, მუშაობს დისტანციური სწავლების დანერგვაზე. მოულოდნელმა რეალობამ - პანდემიამ, რომელიც კოვიდ-19-მა გამოიწვია, საქართველო დააყენა იმ რეალობის წინაშე, რომელშიც დისტანციური სწავლება სავალდებულო გახდა და, ცხადია, აღნიშნულ მოულოდნელობას გამოწვევების გარეშე არ ჩაუვლია.

ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებასა და მთავარ ღირებულებას თეორიული და პრაქტიკული განათლების მიღების უფლება და მასზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. ნებისმიერი ქვეყნის კეთილდღეობა და განვითარება სწორედ მაღალი ხარისხის განათლების მიწოდებაზე არის დამოკიდებული. შესაბამისად, დღესდღეობით, როდესაც განათლებისა და მეცნიერების სფეროები საერთაშორისო დონეზე სწრაფად ვითარდება, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემამ ფეხი უნდა აუწყოს თანამედროვე რეალობას და გამოწვევებს, მათ შორის კოვიდ-19-ის მიერ გამოწვეულს და მათ შესაბამისი, რაც შეიძლება მოქნილი სისტემით უპასუხოს.

როგორც 2019 წლის საერთაშორისო კვლევები გვაუწყებს, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში მთელი რიგი რეფორმები არის გასატარებელი, ვინაიდან განათლების დონით საქართველო არცთუ სახარბიელო ადგილს იკავებს. ამ რეალობას, როგორც აღვნიშნეთ, დაემატა ისიც, რომ ახალი გამოწვევის წინაშე (პანდემია) დადგა განათლების სფერო. უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს საკანონმდებლო სისტემაში პირველად ჩაინერა, რომ გარკვეულ სკოლებში დისტანციური სწავლების დანერგვა იგეგმებოდა, განსაკუთრებით კი იმ სოფლის მაცხოვრებლები ისარგებლებდნენ დისტანციური სწავლებით, რომლებშიც სკოლები არ არის. კანონმდებლობაში, ასევე, საუბარია მაღალმთიან რეგიონებზე, სადაც მოსახლეობას ფიზიკურად არ შეუძლია სკოლაში გადადგოვლება.

მიუხედავად კანონმდებლობაში გაწერილი ცვლილებებისა, პრაქტიკულად 2020 წლამდე (2020 წლის მარტში საქართველოს 600,000 მოსწავლე გადავიდა ონლაინ სწავლების რეჟიმზე) არასოდეს განხორციელებულა დისტანციური სწავლების გამოყენება სასწავლო პროცესში.

შესაბამისად, ლოგიკურია, რომ საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა დიდი გამოწვევის წინაშეა - გადავიდეს ყველაზე მოქნილ, ალტერნატიულ სისტემაზე (პანდემიის პირობებში), ისე, რომ განათლების ხარისხის ინდექსი კიდევ უფრო არ გაუარესდეს.

ჩვენი მიზანია, გამოვყოთ 2-წლიანი დისტანციური სწავლების ნაკლოვანებები და ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც კვლავ დგას საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა - გავიაზროთ ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზები და სხვა ალტერნატიული სასწავლო სისტემები (ჰიბრიდული), ასევე, განვიხილოთ სხვა განვითარებადი ქვეყნების სისტემების დანერგვის შესაძლებლობა საქართველოში და მათი ეფექტიანობა.

სიტუაციის გასაანალიზებლად გაანალიზებულია როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები, მათ შორის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო დოკუმენტები, სამეცნიერო კვლევები, საერთაშორისო ორგანიზაციების (International Council for Open and Distance Education (ICDE); OECD (2020) The potential of Online Learning for adults: Early lessons from the COVID-19 crisis) რეკომენდაციები.

ნაშრომში განხილულია ისეთი აქტუალური საკითხები, როგორებიცაა: რა პრობლემის წინაშე დადგა მსოფლიო პანდემიის შედეგად. რამდენად ეფექტიანია ონლაინ სწავლება საქართველოში. იწვევს თუ არა ონლაინ სწავლება განათლების ხარისხის ინდექსის გაუარესებას.

დღევანდელ რეალობაში რამდენად ხელმისაწვდომია ტექნიკა და ინტერნეტი ყველა მოსწავლისათვის/მასწავლებლისათვის. როგორ უმკლავდება მსოფლიო პანდემიის რეჟიმში ონლაინ სწავლებას, მათი რეგულაციები. რა გასათვალისწინებელი რეკომენდაციები შეიძლება მიიღოს საქართველომ სხვა განვითარებული ქვეყნებისგან. არის თუ არა მიზანშეწონილი მთლიანად ელექტრონულ სწავლება გადასვლა. რა უპირატესობები აქვს ელექტრონულ სწავლებას. რა ღონისძიებები უნდა ჩაატარონ მთავრობებმა ელექტრონული სწავლების უზრუნველსაყოფად.

გიორგი ბარბაქაძე

giorgi.barbakadze.1@btu.edu.ge

გიორგი კალმახელიძე

giorgi.kalmakhelidze.1@btu.edu.ge

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტის) საბაკალავრო პროგრამა

საკვანძო სიტყვები: დისტანციური სწავლება პანდემიის პირობებში; საქართველო და მსოფლიო გამოცდილება.

პედაგოგი ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ქართულად „ბავშვის წამყვანს“ ნიშნავს. სწორედ ბავშვებთან ურთიერთობა, მათთვის განათლების მიცემა და სწორ გზაზე დაყენება არის ამ პროფესიის პრიორიტეტები. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, რომელსაც განვითარება სურს, პედაგოგის პროფესია ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საქმიანობად მიიჩნევა. ამ პროფესიის წარმომადგენლები საზოგადოების საპატივცემულო წევრებად არიან მიჩნეულნი და მათი ანაზღაურებაც საშუალოზე გაცილებით მაღალია. აგრეთვე, მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგის პროფესიაში შესასვლელად ადამიანს სერიოზული პროფესიული მომზადების გავლა მოეთხოვება. გარდა ამისა, დასავლეთში მასწავლებლობის მსურველმა უნდა დაამტკიცოს, რომ ფლობს პედაგოგიურ უნარებს, რაც ითვალისწინებს ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნას, კარგად განვითარებული კომუნიკაციური უნარების არსებობას და ა. შ. ამ პროფესიის პრესტიჟულობიდან გამომდინარე, ახალგაზრდები პროფესიული ცხოვრების განმავლობაში მასწავლებელს არაერთ მოსწავლესთან უწევს ურთიერთობა და მის ხელში ყალიბდება ქვეყნის მომავალი თაობა. მასწავლებლის საქმიანობა საკმაოდ საპასუხისმგებლო, შრომატევადი და დამღლეულია. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, თითოეულ პედაგოგს საკუთარი საქმის მიმართ სიყვარული ამოძრავებს, მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არ არის, მათ სჭირდებათ ადეკვატური დაფასება როგორც უშუალოდ საზოგადოებისაგან, ასევე სახელმწიფოს მიერ. ეს ხელს უწყობს, ერთი მხრივ, მოქმედ მასწავლებელთა მოტივაციის ამაღლებას, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი კადრების მოზიდვას.

გამოკვლევების მიხედვით, უკანასკნელ წლებში საქართველოში პედაგოგის პროფესიით დაინტერესებულ ახალგაზრდათა რაოდენობამ საგრძნობლად იკლო. ასევე, გაიზარდა უკმაყოფილების დონე ანაზღაურების მხრივ. ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს მიზეზები, რომლებმაც ამ პროფესიის მიმართ ინტერესი შეამცირა და შესთავაზოს დაინტერესებულ მკითხველს მათი გადაჭრის გზები. ამ მიზნის მისაღწევად ამ თვალსაზრისით საქართველოსში არსებული სიტუაცია შედარებულია ევროპის გამოცდილებასთან, ამისთვის გამოყენებულია მკვლევართა (ია კუტალაძე, ლევან გახელაძე, ნინო ხარაძე, მანანა რატიანი) ნაშრომები.

საქართველოსგან განსხვავებით, ევროპის განვითარებულ ქვეყნებში პედაგოგის საქმიანობა ძალზე დაფასებულია, რაც ასახულია მათ ხელფასებსა და სოციალური დაცვის სხვა პაკეტებში, ამიტომ ახალგაზრდების არჩევანი საკმაოდ ხშირად ჩერდება სწორედ ამ პროფესიაზე.

საქართველოში არსებული სიტუაცია არაერთ პასუხგაუცემელ კითხვას ბადებს, რომელთა გადაჭრასაც შევეცდებით ნაშრომში. კერძოდ, რატომ იკლო ახალგაზრდების ინტერესმა ამ პროფესიის მიმართ და არის თუ არა ეს დაკავშირებული არასათანადო ანაზღაურებასთან? ასევე, საინტერესოა, რატომ იმატა არაკომპეტენტური მასწავლებლების რაოდენობამ (საანალიზოდ შემოთავაზებულია მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების არასახარბიელო შედეგები რეტროსპექტიულად).

გამოკითხულ პედაგოგთა პასუხების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნის განათლებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროფესიის მიმართ სახელმწიფო არასათანადო დამოკიდებულებას იჩენს. პირველ რიგში, საჭიროა მათ ანაზღაურებაზე ზრუნვა, სხვა წამახალისებელი აქტივობების ორგანიზება (ჯილდოები, პრემიების სისტემა და ა. შ.), რათა პროფესიას დაუბრუნდეს ძველებური პრესტიჟი.

ნიკო შონია

niko.shonia.1@btu.edu.ge

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტის) საბაკალავრო პროგრამა

საკვანძო სიტყვები: მუსიკისა და მხატვრობის სინთეზი; „ხელოვნების ერთიანი სისტემა“.

მხატვრობა და მუსიკა ადამიანის სულიერი, კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილებია, რომლებიც კაცობრიობის გარიჟრაჟზე გაჩნდა და საუკუნეებში განმავლობაში განვითარების ძალიან მაღალ საფეხურს მიაღწია. ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს, თუ რა როლს თამაშობს მუსიკა მხატვრობასა და ხელოვნების ახალი მიმართულებების ჩამოყალიბებაში, აგრეთვე, გამოკვლეულია ხელოვნება, როგორც ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი და მისი განვითარების შესაძლებლობები. მხატვრობის დარგში მოღვაწე ადამიანები, რომლებსაც სურთ გაუღვივონ ინტერესი საზოგადოებას ხელოვნების მიმართულებით, იყენებენ ცნებას „ხელოვნების ერთიანი სისტემა“, რაც ხელოვნების დარგების ახლებურად, მთლიანობაში გააზრებას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ხელოვნებათმცოდნეობასა და ფილოსოფიაში აქტუალურ საკითხად მიიჩნევა, აგრეთვე, ხელოვნების ყველა დარგის ხედვის გაფართოება, რისი მიღწევაც შეიძლება ხელოვნების განსხვავებული დარგების ერთობლიობაში შესწავლით. შემდეგ ეტაპზე კი მნიშვნელოვანია ამ ცოდნის საზოგადოებაში პოპულარიზაცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭიროა ადამიანებში შემეცნებითობის გაზრდა მათი ჰარმონიული და გონებრივი განვითარების მიზნით და, აგრეთვე, ხელოვნების ყველა მიმართულების განვითარება, რაც თანამედროვე სამყაროში ახლებურ, მოდერნისტულ მიდგომებს მოითხოვს.

ნაშრომში აღწერილი და გაანალიზებულია სახვითი ხელოვნების ნიმუშები, რომელთა შექმნაზეც დიდი გავლენა მოახდინა სხვადასხვა კომპოზიტორთა მუსიკალურმა ნაწარმოებებმა. მოხმობილია მაგალითები ვიქტორიანული ეპოქიდან, რომელშიც მუსიკისა და მხატვრობის სინთეზის საუკეთესო მაგალითები გვხვდება.

კვლევა ეყრდნობა არტურ შოპენჰაუერის, ფრიდრიხ ნიცშეს, ფრიდრიხ ჰეგელის, ერნესტ გობრიხისა და სხვა დიდ მოაზროვნეთა ნაშრომებს, რომელთა ანალიზისას გამოიკვეთა ჩვენი კვლევის მიმართულებაც.

ნაშრომში იკვლევს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: აქვს თუ არა პირდაპირი კავშირი მუსიკას მხატვრობასთან? რამდენად მართებულია ხელოვნების, როგორც ერთიანი სისტემის, განვითარება ახალი სტილის შესაქმნელად და რატომ? რამდენად სწორი გზით ვითარდება ხელოვნების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება თანამედროვე სამყაროში? საკმარის ინფორმაციას ფლობს თუ არა საზოგადოება ხელოვნების და, კონკრეტულად, მუსიკისა და მხატვრობის სინთეზის შესახებ? რატომ არის აუცილებელი ხელოვნების დარგების პოპულარიზაცია და რა გზების გამოყენება შეიძლება ამისთვის?

ნაშრომი შეიცავს საინტერესო საკითხებს მუსიკალური სფეროს წარმომადგენლებისათვის, მხატვრებისათვის, ხელოვნებათმცოდნეებისათვის.

მანჩო ტიტისკიშვილი

mancho.tsitskishvili.1@btu.edu.ge

ნოდარ თოფურიია

Nodar.topuria.1@btu.edu.ge

ლუკა მაგალდაძე

luka.magaldadze.1@btu.edu.ge

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტის) საბაკალავრო პროგრამა

საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა

საკვანძო სიტყვები: Covid-19; ეკონომიკური რეგრესი; ეკონომიკური გამოწვევები; პრობლემების გადაჭრის გზები.

Covid-19, რომელიც 2019 წლის ბოლოს დაფიქსირდა ჩინეთში, რამდენიმე თვეში მსოფლიო პანდემიად იქცა. დაავადებამ მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე, მათ შორის მსოფლიო ეკონომიკაზე. მიუხედავად ბოლო ათწლეულის განმავლობაში მიღწეული პროგრესისა სამედიცინო, ბიო-ტექნოლოგიურ თუ გენეტიკის სფეროებში, მსოფლიო, რეალურად, მოუმზადებელი შეხვდა უცნობი ვირუსით გამოწვეულ პანდემიას.

მოცემული კვლევის მიზანია პანდემიით გამოწვეული მაკროეკონომიკური ტენდენციების ანალიზი როგორც გლობალურ, ისე შიდა ეკონომიკებში და მისგან გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების აღმოფხვრის გზების ძიება. პანდემია რომ უდიდეს უარყოფით გავლენას მოახდენდა ეკონომიკური განვითარების ტრენდებზე, უკვე 2020 წლის გაზაფხულისათვის გახდა ნათელი. სწორედ ამ დროს საერთაშორისო ორგანიზაციებმა და მთავრობებმა გააანალიზეს ეკონომიკური ზრდის მიმდინარე და საშუალოვადიანი პროგნოზები. უკიდურესად პესიმისტური იყო „საერთაშორისო სავალუტო ფონდის“ 2020 წლის აპრილის მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვა, რომლის მიხედვითაც, 2020 წელს მსოფლიო ქვეყნების 90 პროცენტისათვის უარყოფითი ეკონომიკური ზრდა იყო ნავარაუდები. საინტერესოა, რომ 2009 წელს, როცა მსოფლიო ღრმა ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა, ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალი იყო (დაახლოებით 60%-ს შეადგენდა).

აპრილში გამოქვეყნებული პროგნოზის მიხედვით, გლობალური ეკონომიკის 3%-იანი შემცირება იყო ნავარაუდები, ხოლო შემდგომ ვითარება უარესობისაკენ შეიცვალა და უფრო გვიანდელ პროგნოზებში ზრდის მაჩვენებელი უფრო პესიმისტური გახდა. „მსოფლიო ბანკის“ საპროგნოზო მაჩვენებელი მსოფლიოს ეკონომიკური ზრდის ტემპებთან დაკავშირებით 2020 წლისთვის -5.2% იყო. „ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია“ (OECD) პროგნოზის ორ შესაძლებლობას განიხილავს. პირველ შემთხვევაში მსოფლიოს რეალური ეკონომიკური ზრდა -6%-ს უტოლდება, ხოლო თუ ვირუსის გავრცელების შემდგომი გავრცელების ტალღების შესახებ პროგნოზი გამართლდება და დღის წესრიგში დადგება რეგულაციების გამკაცრების საკითხი, მსოფლიო ეკონომიკური ზრდა -7.6%-მდე შემცირდება.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზები ეკონომიკის გაჯანსაღების ტემპებთან დაკავშირებით 2020 წლის მეორე ნახევარში უარესობისკენ შეიცვალა. განსაკუთრებით საყურადღებოა დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის საკითხი. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, ვირუსით გამოწვეული უარყოფითი შედეგები შეეხება ქვეყნების უმრავლესობას, დაზარალებულია მინოდების არხები, შემცირდება მოთხოვნა იმპორტირებულ საქონელსა და მომსახურებაზე, შემცირდება ტურისტული აქტივობები და საქმიანი ვიზიტების რაოდენობა. შეიძლება ითქვას, რომ გლობალურმა პანდემიამ მნიშვნელოვნად დახია უკან ის პროგრესი, რომელსაც მსოფლიომ მიაღწია სიღარიბესთან ბრძოლის კუთხით 1990-იანი წლებიდან მოყოლებული.

მნიშვნელოვანია, პასუხი გაეცეს კითხვებს, რა გამოსავალი არსებობს არსებული რთული ეკონომიკური ვითარებიდან როგორც გლობალურ, ისე ლოკალურ დონეზე. რა პასუხისმგებლობები უნდა აიღონ სამთავრობო სტრუქტურებმა, ბიზნესმა და სხვა ორგანიზაციებმა კოვიდით გამოწვეული კრიზისის დასაძლევად. როგორია კრიზისის დაძლევის პესიმისტური და ოპტიმისტური პროგნოზები. ნაშრომში წარმოდგენილია ავტორთა მოსაზრებები ამ საკითხებთან დაკავშირებით და მათი დასაბუთება.

ნია მარგანია

nia.margania.1@btu.edu.ge

ნიკა თქიკაძე

nika.tchiokadze.1@btu.edu.ge

ნინო გურეშიძე

nino.gureshidze@btu.1@edu.ge

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტის) საბაკალავრო პროგრამა

საკვანძო სიტყვები: Covid-19; ეკონომიკური რეგრესი; ეკონომიკური გამოწვევები; პრობლემების გადაჭრის გზები.

XXI საუკუნეში, რომელიც ტექნოლოგიების ერთად არის ცნობილი, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე თითქმის შეუძლებელია წარმატების მიღწევა პირად თუ პროფესიულ ცხოვრებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩართვას განათლების სისტემაში. განათლების დარგის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მათი გამოყენების შემდეგ სასწავლო პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, სახალისო, ეფექტური და მოსახერხებელი.

საკითხის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ მსოფლიო სწრაფად იცვლება, ჩნდება ახალი გამოწვევები და შესაძლებლობები. ინფორმაციული ტექნოლოგიები კი ამ შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას იძლევა. შესაბამისად, ახალგაზრდებს უნდა განუვითარდეთ უნარები, რომლებიც თანამედროვე გამოწვევებს უპასუხებს, ამ თვალსაზრისით კი ციფრული ტექნოლოგიების როლი განუსაზღვრელია, ამდენად, ტექნოლოგიების ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე თვეა მსოფლიოს მასშტაბით საზოგადოება გადასულია დისტანციურ სწავლებასა და მუშაობაზე, რაც ამ საკითხში მეტ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს; განსაკუთრებით გაიზარდა ამ საკითხის მნიშვნელობა ბოლო წლების განმავლობაში, როცა კორონავირუსის პანდემიის გამო მთელ მსოფლიოში საგანმანათლებლო დაწესებულებები ონლაინ სწავლებაზე გადავიდნენ.

ნაშრომში განხილულია შემდეგი საკითხები: რა უპირატესობები აქვს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესში; რა უარყოფითი მხარეები აქვს მათ გამოყენებას; როგორია დღეისათვის არსებული ვითარება საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ტექნოლოგიების მნიშვნელობა განათლების სისტემაში ძალიან დიდია. ტექნოლოგიების გამოყენება აიოლებს განათლების მიღების პროცესს, ზრდის მის პროდუქტიულობასა და ხელმისაწვდომობას. ტექნოლოგიები ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, რომ საქმე გააკეთოს უფრო სწრაფად, მარტივად და ხშირ შემთხვევაში ნაკლები დანახარჯებით. ის შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებსა და სტუდენტებს, ხელი მიუწვდებოდეთ სიახლეებზე. ამავე დროს, ციფრულ ტექნოლოგიების გამოყენებით წარმართული საგანმანათლებლო პროცესი დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას აძლევს, რომ რომ განათლება მიიღონ დამოუკიდებლად, თავიანთი ძირითადი

საქმიანობისაგან მოუწყვეტლად, ასევე, საუკეთესო ინსტრუმენტია მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლისათვის.

ნაშრომი საინტერესო იქნება მოსწავლეებისათვის, განათლების პროცესში ჩართული პირებისათვის (მასწავლებლები, პროფესორა, მშობლები, საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლები, განათლების დარგის სპეციალისტები, მოსწავლეები, სტუდენტები) და დაეხმარება მათ სწორი გადაწყვეტილებების მიღებასა და მათ საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრაციაში.

მაკა კერვალიშვილი

maka.kervalishvili.1@btu.edu.ge

კონსტანტინე ხუჭუა

konstantine.khutchua.1@btu.edu.ge

დავით ხვედელიძე

davit.khvedelidze.1@btu.edu.ge

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტის) საბაკალავრო პროგრამა

საკვანძო სიტყვები: სოციალური მედია; ბავშვთა დეპრესია.

თანამედროვე სამყაროში სოციალურ მედიასა და მოზარდებში დეპრესიას შორის დამოკიდებულების საკითხი არაერთი კვლევის ინტერესის საგანია. არსებობს მოსაზრება, რომ 1995 წლამდე დაბადებულ ადამიანებსა და მას შემდეგ დაბადებულ ადამიანებს შორის დიდი მენტალური განსხვავება არსებობს. თანამედროვე საზოგადოებაში მაღალია დეპრესიისა და მართოსულობისაკენ მიდრეკილების მაჩვენებელი, ეს განსაკუთრებით ნათლად გამოიხატება მოზარდებში. ამ პრობლემის წინაშე მრავალი ოჯახი დგას მთელ მსოფლიოში. სპეციალისტები ხშირად ამ პრობლემას სოციალურ მედიას უკავშირებენ.

2005 წლის შემდეგ დაბადებული მოზარდები დიდ დროს ატარებენ სოციალურ ქსელებში. ისინი მანამდე იწყებენ მათ გამოყენებას, სანამ ოფიციალურად მისი გამოყენების უფლება ექნებათ. ძალიან ბევრი 10-11 წლის ბავშვი ქმნის Facebook-ის ანგარიშს. ცნობილია, რომ ფეისბუქის წესების მიხედვით, რეგისტრაციის მინიმალური ასაკი 13 წელია, მაგრამ ჯერ კიდევ 2011 წელს 7.5 მილიონი 13 წლამდე ასაკის ბავშვის ანგარიში იყო იდენტიფიცირებული (<https://abcnews.go.com/Technology/underage-facebook-members-75-million-users-age-13/story?id=13565619>).

2007 წელს, როდესაც იწყება iPhone-ის მასობრივი გაყიდვები მთელ მსოფლიოში, მოზარდები უკვე დაუბრკოლებლად ერთვებიან Facebook-სა და სხვა სოციალურ პლატფორმებში. სამეცნიერო კვლევებში აღწერილია, რომ სოციალური ქსელების ხშირი გამოყენება იწვევს მათზე დამოკიდებულებას, რაც უარყოფითად აისახებას ადამიანის, განსაკუთრებით კი მოზარდების ფსიქოლოგიაზე. აღნიშნული კვლევის მიზანია, გაარკვიოს, მართლა ახდენს თუ არა სოციალური მედია ახალგაზრდების მენტალურ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას და რატომ არის ამ პრობლემაზე რეაგირება მინიმალური; გადაჭრის თუ არა ამ პრობლემას ასაკის მკაცრი შეზღუდვა სხვადასხვა საიტზე, რის შედეგადაც ახალგაზრდები ნათლად დაინახავენ სოციალური ქსელების უარყოფით მხარეს.

საკვლევი კითხვების პასუხები მიღებულია კვლევების დიაგრამებისა და სტატიების გაანალიზების შედეგად. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ, მართალია, სოციალური მედია თავად კრძალავს ბავშვების განევრიანებას, ანუ დაწესებული აქვს ასაკის მინიმალური ზღვარი, მაგრამ ახალგაზრდები მაინც ქმნიან ანგარიშებს, რაც შემდგომში დიდ პრობლემებს იწვევს. ისინი თავისდაუნებურად ხვდებიან მსხვერპლი სოციალური ქსელების არასწორი გამოყენებისა, ამიტომ პრობლემის გადაჭრის რეალურ გზაა, ბავშვმა თავად გააცნობიეროს, რა საფრთხეების შემცველია ადრეულ ასაკში სოციალური ქსელების გამოყენება და გადანყვიტოს, სურს თუ არა გახდეს მისი ნაწილი.

ერეკლე ლომიშვილი

erekle.lomishvili.1@btu.edu.ge

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტის) საბაკალავრო პროგრამა

საკვანძო სიტყვები: ავტომობილების სერვისები; YourCar აპლიკაციის შესაძლებლობები; YourCar ბრენდის მახასიათებლები.

YourCar არის ახალი აპლიკაციის იდეა, რომელიც გეგმავს, მოიცავს ავტომობილებისთვის საჭირო ყველა სერვისს და პროდუქტს, რათა ავტომფლობელებს გაუმარტივდეთ ავტომობილის ყოლა, მათზე ზრუნვა და არ მოუწიოთ სხვადასხვა პლატფორმაზე გადასვლა. ამ აპლიკაციაში შესაძლებელი იქნება, დაამატოთ თქვენი ავტომობილი, გადაიხადოთ პარკინგის გადასახადი და ჯარიმები, ნახოთ საწვავის მიმდინარე ფასი, გქონდეთ მონაცემები, თუ როდის გინევთ ავტომანქანის გეგმიური სერვისის გავლა და მოგივიდეთ შეხსენებითი SMS, მოძებნოთ საჭირო ავტონაწილი, ნახოთ ავტომობილის დაზღვევის ბაზარზე არსებული შეთავაზებები აპლიკაციიდან გაუსვლელად და შეარჩიოთ ავტოსერვისის თქვენთვის სასურველი სხვადასხვა მომწოდებელი და მათი შეთავაზებები.

ნაშრომის მიზანია, განიხილოს შესაძლებლობები, რომლებიც ამ აპლიკაციას აქვს განვითარებისთვის.

კვლევა პასუხს სცემს კითხვებს, თუ რატომ უნდა გამოიყენოს მომხმარებელმა აპლიკაცია, როგორ უნდა გაზარდოს აპლიკაციამ მომხმარებელთა რაოდენობა, რა კონკრეტული შესაძლებლობები აქვს ბრენდს და როგორი უნდა იყოს ბრენდის საკომუნიკაციო ტონი. კვლევის შედეგად დასტურდება, რომ აპლიკაციის გამოყენების ერთ-ერთ მთავარ უპირატესობად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ის, რომ მისი გამოყენებით ავტომფლობელებს უმარტივდებათ მანქანის მოვლა - ავტომობილისთვის საჭირო ნივთების შეძენა და საჭირო მომსახურებების მიღება.

გარდა ამისა, ნაშრომში შემოთავაზებულია კონკრეტული რეკომენდაციები, როგორ უნდა გაზარდოს აპლიკაციამ ცნობადობა. კერძოდ, იმისათვის, რომ მცირე დროში რაც შეიძლება მეტი მომხმარებელი გაუჩნდეს, საჭიროა მუდმივად რაიმე ახალს და მათთვის საინტერესო სიახლეს სთავაზობდეს მათ. მაგალითად, დასაწყისისთვის მეტი მომხმარებლების მოზიდვის მიზნით გააკეთოს შეთავაზება, ვინც პირველად გადმოიწერს აპლიკაციას და დარეგისტრირდება, დაემატოს გარკვეული რაოდენობის ქულები, ამ ქულების გამოყენება კი აპლიკაციიდან შეძენილ ნებისმიერ ნივთზე შეეძლება - 1 ქულა = +1 ლარს.

YourCar-ის ანალოგიური აპლიკაციების გამოცდილებისა და პოტენციურ მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ საკომუნიკაციო ტონი სასურველია იყოს არაფორმალური. ბრენდების უმეტესობის წარმატების საიდუმლო სწორედ მომხმარებლების მიმართ მეგობრული დამოკიდებულებით იქმნება და სწორედ ამას აპირებს აღნიშნული ბრენდიც. მომხმარებლებთან ბრენდს ექნება მეგობრული დამოკიდებულება, მაქსიმალური კონტაქტი მათთან საშუალებას მისცემს კომპანიას, განსაზღვროს მათი საჭიროებები და შესთავაზოს მათ სასურველი პროდუქტები და მომსახურებები. ამით გაიზრდება თავად კომპანიის კმაყოფილების ხარისხი და, ამასთან ერთად, გაიზრდება როგორც ბრენდის იმიჯი, ასევე ლოიალური მომხმარებლების რიცხვიც.

ნაშრომში განსაზღვრულია მომხმარებლის სავარუდო პროფილი, აპლიკაციის სამიზნე ჯგუფი და მათთან კომუნიკაციის არხები. კერძოდ, წინასწარ კვლევებზე დაყრდნობით, საკომუნიკაციო არხებად ბრენდის ცნობადობის გაზრდის მიზნით ივარაუდება ფეისბუქის, ინსტაგრამისა და ესემეს მარკეტინგის გამოყენება. ასევე, Youtube-სა და TikTok-ზე მრავალფეროვანი კონტენტის განთავსება. ასევე, ძალიან ეფექტურია სხვადასხვა საინფორმაციო პოსტერის დაბუსტვა სოციალურ ქსელებში, წამახალისებელი გათამაშებები და ფასდაკლების აქციები.

მომხმარებელთა ჩართულობის დონის ასამაღლებლად განსაზღვრულია მუდმივი გამოკითხვების ჩატარება და მათ უკუკავშირზე მინიმალურ დროში რეაგირება, ყველა იმ პრობლემის აღმოფხვრა, რომლებზეც მომხმარებლები მიუთითებენ. ასევე, მომხმარებელს საშუალება ექნება, დასვას კითხვები სხვადასხვა სოციალურ ქსელში და მიიღოს სწრაფი და კვალიფიციური პასუხი მათზე. საერთაშორისო და ლოკალური გამოცდილების საფუძველზე, მსგავსი აქტივობები ბრენდის წარმატების გარანტიას უზრუნველყოფს.

მარიამ სეროფიანი

mariami.seropyan.1@btu.edu.ge

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტის) საბაკალავრო პროგრამა

საკვანძო სიტყვები: ტექნოლოგიების სწორად გამოყენება; ბავშვთა ფსიქიკა. პრევენცია და მშობლების როლი.

კომპიუტერული თამაშებსა და ადამიანის ფსიქიკას შორის კავშირი საკმაოდ აქტუალური და სადავო საკითხია როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც.

21-ე საუკუნე, ფაქტობრივად, წარმოდგენელია ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების გარეშე. ეჭვგარეშეა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება უდიდესი ნახტომია კაცობრიობის ისტორიაში, თუმცა, აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებმა, რომლებიც ცივილიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევაა, უარყოფითი გავლენაც მოახდინა ადამიანის ცხოვრებაზე.

ტექნოლოგიების ცოდნა თანამედროვე ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს ცოდნა გახდა ადამიანი კულტურის ნაწილი, თუმცა მისი სწორად გამოყენება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ადამიანის სრულფასოვანი და ჯანსაღი ცხოვრებისათვის გადამწყვეტი ფაქტორია.

ნაშრომის მიზანია, განიხილოს, ახდენს თუ არა უკონტროლო ვირტუალური კომუნიკაცია და თამაშები უარყოფით ზეგავლენას ადამიანის მენტალურ ჯანმრთელობაზე და როგორ შეიძლება მისი თავიდან არიდება.

ნაშრომის საკვლევი კითხვებია, რატომ იწვევს მენტალურ პრობლემებს ვიდეოთამაშები; როგორ შეიძლება ვიდეოთამაშების უარყოფითი როლის შემცირება და რა არის მშობლების მოვალეობა ამ თვალსაზრისით.

სამეცნიერო კვლევებში არაერთგზისაა აღნიშნული, რომ ტექნოლოგიების არასწორი გამოყენება საზიანოა როგორც ფსიქიკისთვის, ასევე ფიზიკური ჯანმრთელობისთვის. განსაკუთრებულ საშიშროებას კი ვხვდებით ბავშვებსა და მოზარდებში, რომლებიც ზრდისა და განვითარების ეტაპზე იმყოფებიან და ცხოვრების ჯანსაღი წესი და სწორად დაგეგმილი დღიური აქტივობები მნიშვნელოვანი ფაქტორია მათი ჯანმრთელი მომავლისათვის.

სტატისტიკურად, ახალგაზრდები კვირაში საშუალოდ 53 საათს ატარებენ მედიასა და ტექნოლოგიებთან ურთიერთობაში, რაც მკვეთრად აღემატება სახლში, სკოლაში თუ მეგობრებთან ერთად გატარებულ დროს. უფროსი თაობისგან განსხვავებით, ხშირად ბავშვებში დაფიქსირებული ნეგატიური განწყობის ყველაზე დიდი წილი სწორედ ვიდეოთამაშებითაა გამოწვეული.

კომპიუტერული თამაშების გრაფიკა, დიზაინი და ზოგადი შინაარსი ადამიანს რეალობისგან სწყვეტს. მოთამაშე თითქოს გადადის სხვა, გამოგონილ სამყაროში, რომელსაც აღარაფერი აკავშირებს რეალურ დროსთან, სივრცესა და სამყაროსთან.

სწორედ ეს გახლავთ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ აკონტროლებენ ბავშვები დროს და უჩნდებათ წარმოსახვითის, არარეალურის რეალობაში გადმოტანის სურვილი. მათ უჩნდებათ სურვილი, რომ გაიმეორონ პერსონაჟების ქცევები, ასევე, ჰქონდეთ მათნაირი ძალები და უნარები, რაც, რასაკვირველია, მიუღწეველია. სწორედ ეს კონფლიქტი წარმოშობს მენტალურ პრობლემებს ბავშვებში.

პედაგოგებისა და ფსიქოლოგების რეკომენდაციით, გასართობი საშუალებები და თამაშები უნდა იყოს სახალისო, შემეცნებითი და აუცილებლად ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის წარმოსახვის უნარის განვითარებას. ვიდეოთამაშების თამაშის დრო და შინაარსი მშობლების მხრიდან სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. მათ უნდა აკონტროლონ, თუ რას თამაშობენ მათი შვილები და რამდენ ხანს ატარებენ კომპიუტერის ეკრანის წინ.

რა თქმა უნდა, ყველა ბავშვი ინდივიდუალურია და თითოეულ მათგანს განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება გასართობი საშუალებების გამოყენებისას. ზოგი ბავშვი უფრო მეტად არის მიდრეკილი იმისკენ, რომ გაიმეოროს ის ქმედებები, რომლებიც დაინახა თამაშში, ფილმში, ზოგს კი ეს საიშროება ნაკლებად ემუქრება. კიდევ ერთი პრობლემაა ის, რომ ზოგიერთ ბავშვს უჭირს ზღვარის გავლება რეალობასა და ფანტაზიას შორის, რასაც არასახარბიელო შედეგებამდე მივყავართ.

როგორ უნდა გაუმკლავდნენ მშობლები გამოწვევებს? ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ კომპიუტერული თამაშები ახალგაზრდებში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. ძნელია მოზარდის პოვნა, რომელიც ან არ თამაშობს, ან საერთოდ არ უთამაშია და კიდევ უფრო ძნელია ისეთი თამაშის მოძებნა, რომელშიც საერთოდ არ არის გამოყენებული ძალადობის სცენები. უფრო მეტიც, თამაშების გარკვეული რაოდენობა დაფუძნებულია სტრატეგიაზე, რომელიც გულისხმობს ადამიანის სიცოცხლის მოსპობას. ასეთი თამაშები აგებულია პრინციპზე, რომელიც გულისხმობს ხერხებს, მაგალითად, რა გზით და რამდენად „ორიგინალურად“ მოკლავ პერსონაჟს. ფსიქოლოგთა განმარტების მიხედვით, სრულიად ჯანმრთელ ზრდასრულ ადამიანსაც კი მუდმივად ასეთი სიუჟეტის ყურებისას შეიძლება შეექმნას სერიოზული პრობლემები ფსიქიკასთან დაკავშირებით, რადგან ეს ყველაფერი მათში აგრესიას იწვევს და აღვიძებს ადამიანის ყველაზე უარყოფით თვისებებსა და ინსტინქტებს.

არსებობს რამდენიმე რეკომენდაცია, რომელთა გათვალისწინება დაეხმარება მშობლებს, მათმა შვილებმა გონივრულად გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები და თავიდან აიცილონ არასასურველი შედეგები: მშობლებმა თავინთი შვილებს მათი ხასიათიდან და მისწრაფებებიდან გამომდინარე უნდა შეურჩიონ თამაშები. გარდა ამისა, ყველა თამაში უნდა იყოს მათ განვითარებაზე

სწორედ ეს გახლავთ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ აკონტროლებენ ბავშვები დროს და უჩნდებათ წარმოსახვითის, არარეალურის რეალობაში გადმოტანის სურვილი. მათ უჩნდებათ სურვილი, რომ გაიმეორონ პერსონაჟების ქცევები, ასევე, ჰქონდეთ მათნაირი ძალები და უნარები, რაც, რასაკვირველია, მიუღწეველია. სწორედ ეს კონფლიქტი წარმოშობს მენტალურ პრობლემებს ბავშვებში.

პედაგოგებისა და ფსიქოლოგების რეკომენდაციით, გასართობი საშუალებები და თამაშები უნდა იყოს სახალისო, შემეცნებითი და აუცილებლად ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის წარმოსახვის უნარის განვითარებას. ვიდეოთამაშების თამაშის დრო და შინაარსი მშობლების მხრიდან სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. მათ უნდა აკონტროლონ, თუ რას თამაშობენ მათი შვილები და რამდენ ხანს ატარებენ კომპიუტერის ეკრანის წინ.

რა თქმა უნდა, ყველა ბავშვი ინდივიდუალურია და თითოეულ მათგანს განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება გასართობი საშუალებების გამოყენებისას. ზოგი ბავშვი უფრო მეტად არის მიდრეკილი იმისკენ, რომ გაიმეოროს ის ქმედებები, რომლებიც დაინახა თამაშში, ფილმში, ზოგს კი ეს საიშროება ნაკლებად ემუქრება. კიდევ ერთი პრობლემაა ის, რომ ზოგიერთ ბავშვს უჭირს ზღვარის გავლება რეალობასა და ფანტაზიას შორის, რასაც არასახარბიელო შედეგებამდე მივყავართ.

როგორ უნდა გაუმკლავდნენ მშობლები გამოწვევებს? ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ კომპიუტერული თამაშები ახალგაზრდებში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. ძნელია მოზარდის პოვნა, რომელიც ან არ თამაშობს, ან საერთოდ არ უთამაშია და კიდევ უფრო ძნელია ისეთი თამაშის მოძებნა, რომელშიც საერთოდ არ არის გამოყენებული ძალადობის სცენები. უფრო მეტიც, თამაშების გარკვეული რაოდენობა დაფუძნებულია სტრატეგიაზე, რომელიც გულისხმობს ადამიანის სიცოცხლის მოსპობას. ასეთი თამაშები აგებულია პრინციპზე, რომელიც გულისხმობს ხერხებს, მაგალითად, რა გზით და რამდენად „ორიგინალურად“ მოკლავ პერსონაჟს. ფსიქოლოგთა განმარტების მიხედვით, სრულიად ჯანმრთელ ზრდასრულ ადამიანსაც კი მუდმივად ასეთი სიუჟეტის ყურებისას შეიძლება შეექმნას სერიოზული პრობლემები ფსიქიკასთან დაკავშირებით, რადგან ეს ყველაფერი მათში აგრესიას იწვევს და აღვიძებს ადამიანის ყველაზე უარყოფით თვისებებსა და ინსტინქტებს.

არსებობს რამდენიმე რეკომენდაცია, რომელთა გათვალისწინება დაეხმარება მშობლებს, მათმა შვილებმა გონივრულად გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები და თავიდან აიცილონ არასასურველი შედეგები: მშობლებმა თავინთი შვილებს მათი ხასიათიდან და მისწრაფებებიდან გამომდინარე უნდა შეურჩიონ თამაშები. გარდა ამისა, ყველა თამაშში უნდა იყოს მათ განვითარებაზე

ორიენტირებული, უნდა გამოირიცხოს ყველანაირი აგრესიისა და სისასტიკის შემცველი თამაშები. გარდა ამისა, ბავშვის დღის რეჟიმში აუცილებლად უნდა დაეთმოს მნიშვნელოვანი დრო ისეთ აქტივობებს, რომლებიც კომპიუტერის გარეშე სრულდება. მნიშვნელოვანია იმ ასაკობრივი ლიმიტების დაცვა, რომლებიც კომპიუტერული თამაშების შემქმნელთა მიერ არის დაწესებული.

სალომე მღებრიშვილი

salome.verulashvili.1@btu.edu.ge

თამარ იაგანაშვილი

Tamar.iaganashvili.2@btu.edu.ge

მარიამ ნანიკაშვილი

mariam.nanikashvili.1@btu.edu.ge

მალხაზ მანდარია

malkhaz.mandaria.1@btu.edu.ge

თორნიკე კართველიშვილი

Tornike.kartvelishvili.1@btu.edu.ge

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამა

საკვანძო სიტყვები: პესეის მშენებლობა; გამოწვევები; გადაჭრის გზები.

თანამედროვე ცივილიზებული სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია ელექტროენერგიის გარეშე. ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ზრდის პარალელურად სახელმწიფოს უზრუნველყოფისა და სამრეწველო სექტორის ელექტროენერგიით მაქსიმალურად უზრუნველყოფისა და დაბალანსების საზრუნავი, რისთვისაც არსებობს ორი გზა: ელექტროენერგიის იმპორტი სხვა სახელმწიფოებისგან ან საკუთარი რესურსებით ელექტროენერგიის წარმოქმნა და ათვისება.

კვლევის ძირითადი მიზანია, შეისწავლოს ქვეყანაში პესეის მშენებლობის ხელის შეშლელი ფაქტორები და მოიძიოს მაქსიმალურად რაციონალური გზები, რომლებიც დაეხმარება სფეროს სპეციალისტებს არსებული საკითხის გადაჭრაში.

მოცემული ნაშრომი ეფუძნება თვისებრივ კვლევას, კერძოდ: ა) სიღრმისეულ ინტერვიუს, რომელიც ჩატარდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების, ენერგეტიკის სამინისტროსა და გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენლებთან. ბ) დოკუმენტების ანალიზი (მოხსენებები, ანგარიშები, სახელმწიფო დოკუმენტები და სხვა აქამდე ჩატარებული კვლევები).

კვლევამ გამოავლინა, რომ ამჟამად საქართველოში განსაკუთრებით საგრძნობია ნეგატიური განწყობა ჰიდროელექტროსადგურების მიმართ. საქართველოში ჰიდრორესურსების ჯერ მხოლოდ 22%-ია ათვისებული, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი ევროპის რიგ ქვეყნებში 90-95%-საც კი სცდება. გამომდინარე იქიდან, რომ, ზოგადად, ქვეყანაში არსებული გენერაციის წყაროები მზარდ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, ამ მხრივ გამონაკლისი არც 2020 წელი იყო: მიუხედავად იმისა, რომ, პანდემიის გამო ელექტროენერგიის საერთო მოხმარება შემცირდა, ქვეყანამ მაინც ვერ შეძლო დამოუკიდებლად უზრუნველყოფა საჭირო ენერგიის გამომუშავება და მეზობელი ქვეყნებიდან ელექტროენერგიის იმპორტი გახდა საჭირო, კერძოდ, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან.

იმპორტირებული ელექტროენერგიის ფასი გაუფასურებული ეროვნული ვალუტის ფონზე კიდევ უფრო ძვირდება და მისი შემდგომი ზრდის მაჩვენებელი არაპროგნოზირებადია. გარდა ამისა, მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მოვლენებზე საქართველოს ენერგოდამოკიდებულების მიბმა ზრდის საშიშროებას ენერგოუსაფრთხოების კუთხით, განსაკუთრებით, რუსეთთან მიმართებით, რომელიც, ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია მოვიხსენიოთ, როგორც არასაიმედო პარტნიორი.

ამ ეტაპზე ქვეყანაში ვერ ხდება ენერგორესურსების პოტენციალისა და მნიშვნელობის სწორად განსაზღვრა. ვფიქრობთ, რომ საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მეტი ჩართულობა და ინფორმაციის სწორად მიწოდება მოსახლეობისთვის, რათა თავიდან ავირიდოთ შიდა წინააღმდეგობები, რაც საბოლოოდ აისახება პრაგმატული და სწორი აზრის ფორმირებასა და საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღებაზე.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც დაგვეხმარება აღნიშნულ გამოწვევებთან გამკლავების გზების დასახვაში.

ნინო თორთლაძე

nino.tortladze.1@btu.edu.ge

მარიამ ტორაძე

mariam.toradze.1@btu.edu.ge

მარი ბაღდავაძე

mari.baghdavadze.2@btu.edu.ge,

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამა

საკვანძო სიტყვები: ბიზნესის ნეგატიური ეფექტების შემცირება;
კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში; მომხმარებლებზე გავლენა.

ტერმინი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა პირველად 1970-იან წლებში ბიზნესსამყაროში გამოჩნდა და წარმოადგენს ბიზნესის ნებაყოფლობით არჩევანს, გაითვალისწინოს საზოგადოების მოლოდინები, ინტერესები, იმოქმედოს ეთიკურად და დადებითი გავლენა იქონიოს როგორც სამუშაო, ასევე გარემო პროცესებზე და შეამსუბუქოს ის ნეგატიური ეფექტები, რომლებიც, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ბიზნესსაქმიანობასთან. სხვა სიტყვებით რომ ავხსნათ, ეს არის ის საქმიანობა, რომელსაც ბიზნესი ეწევა თავისი ძირითადი საქმიანობის ფარგლებს გარეთ და რომელიც მიმართულია დამატებითი სარგებლიანობის შექმნისათვის, რაც შეიძლება ეხებოდეს როგორც დაკავშირებულ სფეროებს, ასევე იმ მიმართულებებს, რომლებთანაც ბიზნესს მანამდე შეხება არ ჰქონია, მაგალითად: გარემოს დაცვა, ტექნოლოგიები, მეცნიერება, სპორტი, ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია, განათლების ხელშეწყობა და სხვა. მსოფლიოში არსებული დიდი კომპანიები აქტიურად ახორციელებენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროექტებს, რაც ადასტურებს მათ დამოკიდებულებასა და პასუხისმგებლიანობას საზოგადოების მიმართ და, ასევე, მიმართულია ერთგული და ლოიალური მომხმარებლის მოპოვებისა და შენარჩუნებისაკენ. CSR აქტივობებს ახორციელებენ ისეთი კომპანიები, როგორებიცაა: უმსხვილესი სათამაშოების მწარმოებელი კომპანია Lego და გერმანული პრემიუმ ხარისხის საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებელი კომპანია Bosch-ი, ასევე, საბანკო სექტორის უმსხვილესი წარმომადგენლები: ჩინეთის ინდუსტრიული და კომერციული ბანკი და ამერიკული მულტინაციონალური საინვესტიციო და საბანკო სექტორის წარმომადგენელი კომპანია The goldman sachs group. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა განსაკუთრებით საინტერესოა საბანკო სფეროში, რადგან ეს არის სფერო, რომელშიც ხდება ფულადი სახსრების წარმოქმნა, შენახვა და დაგროვილი ფულადი რესურსების გადანაწილება სხვადასხვა მიმართულებით, რაც განსაკუთრებით საინტერესოს ხდის იმას, თუ როგორ განკარგავენ ფინანსური ინსტიტუტები ფულად სახსრებს საყოველთაო სოციალური პასუხისმგებლიანობისთვის.

რაც შეეხება CSR აქტივობებს საქართველოში, იგი დღითიდღე ხდება პოპულარული, კომპანიები აქტიურად იწყებენ მის ინტეგრირებას სტრატეგიაში და ცდილობენ, დააინტერესონ და მოიზიდონ მომხმარებლები ბიზნესის სფეროს გარეთ არსებული პროექტებითა თუ აქტივობებით. შესაბამისად, ჩვენი საკვლევი თემა მიმართულია იქითკენ, რომ გამოიკვლიოს კორპორაციული სოციალური

პასუხისმგებლობის გავლენა ქართულ საბანკო სექტორში არსებული კომპანიების მომხმარებლებზე, კონკრეტულად, TBC ბანკის მაგალითზე.

საქართველოში ყოველწლიურად ტარდება საქართველოს პასუხისმგებლიანი ბიზნესის კონკურსი Meliora. კომპანიებს ეძლევათ შესაძლებლობა, წარადგინონ მათ მიერ CSR აქტივობის ფარგლებში განხორციელებული პროექტები. კვლევის მიზანია, შეისწავლოს, გამოიკვლიოს და გააანალიზოს ქართულ საბანკო სექტორში, კერძოდ, TBC ბანკის მომხმარებელზე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ზეგავლენა. ამ მიზნით კვლევის ფარგლებში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- TBC ბანკის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ინტეგრირებულობა კომპანიის სტრატეგიაში და მომხმარებლის ინფორმირებულობა ყველაზე ხშირად გამოყენებული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობებში.
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში TBC ბანკის მიერ განხორციელებული აქტივობების გავლენა მომხმარებელზე, მათი ჩართულობისა და კმაყოფილების მაჩვენებელი.
- TBC ბანკის მომხმარებელთა სურვილები, მოლოდინები და აგრეთვე საჭიროებები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში.

კვლევაში გამოყენებულია კვლევის რაოდენობრივი მეთოდი, რადგან კვლევამ უნდა შეაგროვოს და გააანალიზოს მონაცემები, თუ რა გავლენა აქვს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის არსებობას მომხმარებელზე, ასევე რამდენად იცნობს მომხმარებელი კომპანიის მხრიდან CSR -ის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებს და რამდენად ჩართულია მასში, ასევე, მოახდენს თუ არა გავლენას მათ არჩევანზე, დაინტერესდნენ იმ კომპანიით, რომელსაც აქვს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტები. არსებობს თუ არა (როგორია) ურთიერთკავშირი CSR-სა და მომხმარებლის კმაყოფილებასა და მოლოდინებს შორის.

ინფორმაციის შესაგროვებლად გამოყენებულია სტრუქტურირებული და ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარები.

ასევე, კვლევის ფარგლებში განხილული იქნება TBC ბანკის მიერ განხორციელებული აქტივობები და მათი შედეგები, კონკურენტული კომპანიების მიერ განხორციელებული აქტივობები, რომლებიც შედარებული იქნება მსოფლიო მასშტაბით საბანკო სექტორში არსებულ CSR პრაქტიკებთან.

თინათინ დოგაძე

tinatin.dogadze.1@btu.edu.ge

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამა

საკვანძო სიტყვები: უსაფრთხოება; ჯანმრთელობა; ინფორმირებულობა.

ტარებადი მონაცემები ტექნოლოგიების განვითარებაში რევოლუციურ ნაბიჯად არის მიჩნეული. ტარებადი მონაცემები არის ხელსაწყოები, რომელთაც ადამიანი ატარებს და შეიცავს ძლიერ სენსორებს, რომელიც აგროვებს და გადასცემს ინფორმაციას რეალურ დროში. ამ ტიპის მონაცემები აქტიურად გამოიყენება ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის: მედიცინაში, სპორტში, სამუშაო სივრცეებში. სამუშაო სივრცეში მაქსიმალურად კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა აუცილებელი პირობაა პროდუქტიულობის ასამაღლებლად. სამუშაო ადგილებში დასაქმებული ადამიანების მხრიდან ტარებადი მონაცემების გამოყენება აუშკობესებს დასაქმებულთა პროდუქტიულობას, უსაფრთხოებას, კმაყოფილებასა და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას.

კვლევის მიზანია, შეისწავლოს ბაზარზე არსებული ტარებადი ნივთების ხელმისაწვდომობის, მათი გამოყენების უპირატესობისა და არსებული პრობლემების საკითხი.

ნაშრომი ფოკუსირებულია შემდეგ კონკრეტულ შეკითხვებზე: რა სახის ტარებადი ტექნოლოგიები არსებობს ბაზარზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამუშაო ადგილზე? რა სარგებლობა მოაქვს სატარებელ ტექნოლოგიას კომპანიისათვის და თანამშრომლებისთვის? რა გამოწვევები არსებობს ამ ეტაპზე და საჭიროებს დამატებით გამოკვლევებს?

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია შემდეგი მეთოდოლოგია - რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რომელიც მოკლე დროში საკმოდ დიდი რაოდენობის ადამიანების გამოკითხვას ითვალისწინებს და დიდი მოცულობით მონაცემების შეგროვების საშუალებას იძლევა. კვლევაში მონაწილე შერჩეული ჯგუფი წარმოადგენს სრულ პოპულაციას, რაც, საბოლოო ჯამში, განზოგადების საშუალებასაც იძლევა.

გარდა ზემოთ დასახელებული რაოდენობრივი მეთოდისა, გამოყენებულია თვისებრივი კვლევაც გარკვეული საკითხების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით. კერძოდ, ჩატარებულია ონლაინგამოკითხვა, რომლის ფარგლებშიც გამოკითხული არიან არაშემთხვევითი შერჩევის პრინციპით დარგის წარმომადგენლები და მონვეული ექსპერტები, ასევე ორივე სქესის დასაქმებული სრულწლოვანი ადამიანები.

ჩვენი კვლევისა და განხილული წყაროების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ტარებადი მონაცემები განსაკუთრებით ეფექტიანი აღმოჩნდა კოვიდპანდემიის დროს, რადგან შესაძლებლობა მისცა ადამიანებს, ზედაპირთან შეხების გარეშე შეასრულონ კონკრეტული საქმიანობები (გამოიძახონ ლიფტი, გააღონ კარი და ა. შ. თავიანთი ელექტრომონაცემების საშუალებით).

გარდა ამისა, ეს ტექნოლოგიური საშუალებები პერსონალის გაფრთხილების შესაძლებლობას იძლევა, როდესაც უსაფრთხოების თვალსაზრისით ამის საჭიროება არსებობს. აგრეთვე, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ საქართველოში მათი გამოყენების უპირატესობების შესახებ ინფორმირებულობის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია, რაც ხელს უშლის მათ აქტიურ გამოყენებას.

მარიამ აბრამიშვილი

mariami.abramishvili.1@btu.edu.ge

ლერი მდინარაძე

Leri.mdinaradze.1@btu.ge

ირინე ბარამიძე

irine.baramidze.1@btu.edu.ge

ბუბა მოდებაძე

Buba.modebadze.1@btu.edu.ge

გიორგი მეტრეveli

Giorgi.metreveli.1@btu.edu.ge

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამა პროგრამა

საკვანძო სიტყვები: შრომითი უფლებების დაცვა; დასაქმებულთა ინფორმირებულობა; განსახორციელებელი ნაბიჯები.

თანამედროვე სამყაროში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შრომისა და დასაქმების საკითხებს. ქვეყნის უპირველესი მოვალეობა სწორედ სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების, შრომის უფლების, დაცვაა. საქართველოში მოქმედებს 2020 წელს მიღებული (ბოლო შესწორებებით) შრომის კოდექსი, რომელშიც დეტალურადაა განხილული დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებები.

გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში ერთ-ერთ მწვავე პრობლემად დასაქმება და შრომითი უფლებების დაცვა სახელდება, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რამდენად კარგად არიან დასაქმებულები ინფორმირებულნი საკუთარი შრომითი უფლებების შესახებ, ესმით თუ არა საქართველოს შრომითი კოდექსის ძირითადი პუნქტები, ეცნობიან თუ არა შრომით ხელშეკრულებას ან, ყველაზე უარეს შემთხვევაში, აფორმებენ თუ არა მას დასაქმების დროს. ასევე, გამოკითხულთა მაგალითზე გაანალიზებულია, რამდენად სრულდება ის ვალდებულებები, რომლებიც დამსაქმებლებს აკისრიათ.

აღნიშნული კვლევა ემსახურება საქართველოს მოსახლეობის ცოდნის დონის შესწავლას შრომით კოდექსთან მიმართებით, რაც, თავის მხრივ, გამოკვეთს მნიშვნელოვან საკითხებსა და პრობლემებს, რომლებიც დასაქმების სფეროში არსებობს.

დასაქმებულთა უფლებრივი მდგომარეობა, შრომის პირობები და უსაფრთხოება სამუშაო ადგილებზე საქართველოსათვის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა, რასაც ადასტურებს მშრომელთა საპროტესტო გამოსვლებისა და შრომითი დავების რაოდენობა. მიუხედავად უკანასკნელ წლებში განხორციელებული რიგი საკანონმდებლო თუ სტრუქტურული ცვლილებებისა, დასაქმებულთა უფლებრივი მდგომარეობა, საშუალო ანაზღაურება და შრომითი უსაფრთხოება არ უმჯობესდება, რაც მშრომელთა ინტერესებზე ორიენტირებული ორგანიზაციების მუდმივი უკმაყოფილების საგანი ხდება.

ერთ-ერთ ყველაზე მწვავე საკითხს ამ მიმართულებით სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა გარდაცვალებისა და ფიზიკური დაზავების საგანგაშო სტატისტიკა წარმოადგენს. საქართველოში დასაქმებულთა ზოგადი მდგომარეობის შესახებ გარკვეული ინფორმაცია რიგ სექტორებსა და დარგებში არსებობს, ტარდება სხვადასხვა ტიპის კვლევები და შეფასებები, თუმცა, ძირითადად, ისინი მძიმე მრეწველობის დარგს ეხება. ბოლო წლებში გააქტიურდა მომსახურების სფეროში დასაქმებულთა მდგომარეობის აღწერის მცდელობებიც.

საქართველოში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, როდესაც მუდმივად ირღვევა დასაქმებულის უფლებები და საკმაოდ მწვავედ დგას დასაქმების სექტორში არსებული განუკითხაობის პრობლემა, საკვლევი პრობლემის თემატიკა საკმაოდ აქტუალურია.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოს დასაქმებული ან/და სამუშაო გამოცდილების მქონე მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის შესწავლა შრომით კოდექსთან მიმართებით. კვლევის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს შემდეგომი საკითხების შესწავლა და ანალიზი: დასაქმებული ან/და სამუშაო გამოცდილების მქონე მოსახლეობის პირადი გამოცდილება შრომითი კოდექსით გათვალისწინებული უფლებების გამოყენების კუთხით; რამდენად კარგად ესმის შრომით კოდექსში განხილული უფლება-მოვალეობები დასაქმებულ ან/და სამუშაო გამოცდილების მქონე მოსახლეობას; დამსაქმებლების დამოკიდებულება და შრომითი კოდექსით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების ხარისხი.

ნაშრომის ფარგლებში პასუხი აქვს გაცემული ქვემოთ მოცემულ საკვლევ კითხვებს:

- რამდენად ხშირად გამოუყენებიათ შრომითი კოდექსით გათვალისწინებული უფლებები დასაქმებულ ან/და სამუშაო გამოცდილების მქონე ადამიანებს?
- ფლობენ თუ არა ინფორმაციას დასაქმებული ან/და სამუშაო გამოცდილების მქონე ადამიანები შრომით კოდექსში არსებული უფლება-მოვალეობების შესახებ?
- რამდენად ხშირად ასრულებს დამსაქმებელი შრომითი კოდექსით გათვალისწინებულ მოვალეობებს.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა, რაოდენობრივი მონაცემების საშუალებით დავადგინოთ დასაქმებული ადამიანების ინფორმირებულობის დონე შრომით კოდექსთან დაკავშირებით.

კვლევის ინსტრუმენტის ფარგლებში გამოყენებულია პირველადი მონაცემები, რომლებიც მიღებულია სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. სამიზნე ჯგუფს შეადგენენ მომუშავე ან სამუშაო გამოცდილების მქონე ადამიანები, რომლებმაც შევსეს კითხვარები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოში, ზოგადად, მაღალია შრომის კოდექსის დარღვევისა თუ მისი გაუთვალისწინებლობის შემთხვევები ხელშეკრულებათა შედგენისას თუ უშუალოდ შრომითი ურთიერთობის პროცესში მთელ რიგ სექტორებში, მხოლოდ ეფექტიანი შრომის ინსპექციისა და აღსრულების მექანიზმების არარსებობით ვერ აიხსნება შრომითი უფლებების დარღვევისა და უსაფრთხოების სტანდარტების არქონის მუდმივი ტენდენცია, რადგან მისი საფუძველი ქვეყნის მთლიან ეკონომიკურ პოლიტიკაში დევს. შეიძლება ითქვას, ამ პოლიტიკის ძირითადი გეზი არ შეცვლილა 2012 წლის შემდეგ, გარკვეული სოციალური რეფორმების გატარების მიუხედავად, რაც დაუყოვნებელ რეაგირებას მოითხოვს.

გიორგი სორიკიშვილი

giorgi.tsorikishvili.1@btu.edu.ge

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამა პროგრამა

საკვანძო სიტყვები: ეკოლოგიური პროდუქტები; ინვესტიციები; ცნობიერების ამაღლება.

მწვანე ეკონომიკაზე ტრანსფორმაციის პირობებში ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკა ცენტრალურ როლს თამაშობს. ამ ბაზარზე მოქმედი მთავარი აქტორები სტარტაპები არიან, თუმცა მთელ მსოფლიოში ჯერ კიდევ ცოტა კვლევა არსებობს კონკრეტულად მწვანე სტარტაპების გამოწვევების შესახებ.

მწვანე სტარტაპები ცდილობენ, გამოიყენონ ტექნოლოგია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების შესაქმნელად და სოციალური სიკეთის წასახალისებლად, თუმცა მხოლოდ ზრდაზე ორიენტირებულ ტრადიციულ მენარმეებთან შედარებით, მწვანე სტარტაპები ახალი და უფრო რთული გამოწვევების წინაშე დგანან სწორი ინვესტიციების მოზიდვის პროცესში.

საქართველოში ბევრი საერთაშორისო დონორი ორგანიზაცია უკვე აქტიურად არის ჩართული მწვანე სტარტაპების საქმიანობების ხელშეწყობის მიმართულებით. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, ბაზრის გამოწვევების სწორად იდენტიფიცირება, პერსპექტივების დანახვა და მათი გაანალიზება.

ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს EU-ს მხარდაჭერით ჩატარებული GRESS-ის კვლევა, რომელიც იკვლევს მწვანე საწარმოების მამოძრავებელ ფაქტორებსა და გამოწვევებს. კვლევა ტარდება SME და Startup მენარმეების შესახებ (https://www.interregeurope.eu/fileadmin/user_upload/tx_tevprojects/library/file_1597131361.pdf).

კვლევის მიზანია, გამოავლინოს და შეისწავლოს მწვანე სტარტაპების განვითარების პერსპექტივები საქართველოში. რა გამოწვევები აქვთ მწვანე სტარტაპებს საქართველოში; როგორია ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა; როგორია ამ პრობლემასთან დაკავშირებით ცნობიერების დონე საზოგადოებაში; როგორია მწვანე სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალი ქართულ ეკოსისტემაში.

ამ მიზნით პასუხი უნდა გაეცეს ქვემოთ მოცემულ საკვლევ კითხვებს:

- სულ რამდენი მწვანე სტარტაპია საქართველოში და როგორ ხდება მათი იდენტიფიცირება „მწვანედ“?
- არსებობს თუ არა რაიმე ხელისშემწყობი პროგრამები, რომლებიც კონკრეტულად მწვანე სტარტაპებზეა ორიენტირებული?
- რამდენად აქვთ მწვანე სტარტაპებს უცხოელ დონორებთან ხელმისაწვდომობა?
- რამდენად ესმის საზოგადოებას მწვანე სტარტაპების მნიშვნელობა? როგორ აღწერენ, რას ფიქრობენ პირველად? რამდენად პრიორიტეტულია მათთვის მწვანე სტარტაპების არსებობა?
- რამდენ სამუშაო ადგილს ქმნის მწვანე სტარტაპი და რამდენად არსებობს ამ სამუშაო ადგილების გაზრდის პოტენციალი?

კვლევის ფარგლებში კონკრეტული შედეგების მისაღებად გამოყენებულია როგორც თვისებრივი, ასევე აღწერითი კვლევის მეთოდები. კონკრეტულად კი, აღწერითი კვლევის ფარგლებში გამოკითხვის ტექნიკად გამოყენებულია ინტერნეტგამოკითხვა, ხოლო თვისებრივი კვლევის ნაწილში - ჩაღრმავებული ინტერვიუები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქართულ რეალობაში ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი მწვანე სტარტაპებისა პოპულარიზაციისა და საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად. ამ მიმართულებით კი საჭიროა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დონორების ჩართულობის წახალისება და პროგრამების ხელშეწყობა, რაც, საბოლოოდ, ერთი მხრივ, შექმნის სამუშაო ადგილებს, ხოლო, მეორე მხრივ, განავითარებს ეკოლოგიურ მიდგომებს ბიზნესში.

ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, ონლაინგამოკითხვა, სტრატეგიული და კორელაციური მეთოდები. სამივე ჯგუფად კი შერჩეული იყვნენ ავტომობილის მფლობელები ან პოტენციური მყიდველები 17 წლიდან, ორივე სქესის წარმომადგენლები.

კვლევაში გაანალიზებულია შემდეგი კითხვები:

- რამდენად ითვალისწინებს მომხმარებელი ეკოლოგიაზე ზრუნვის ფაქტორს ელექტრომობილის შეძენისას?
- რა გავლენას ახდენს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სუბსიდირება/რეგულაციები ეკომეგობრული ავტომობილის შეძენაზე?
- რა მექანიზმები აქვს სახელმწიფოს ელექტრომობილების წახალისების მიზნით?
- რა გავლენას ახდენს შეძენისას მომხმარებელზე ელექტრომობილის ეკონომიურობა?
- საზოგადოების რომელი ფენა ანიჭებს უპირატესობას ელექტრომობილს?
- რა ფაქტორები განაპირობებს მომხმარებლისთვის შიდა წვის ძრავის ჩანაცვლებას ელექტრომობილით?
- ზოგადად, რა ფაქტორები განაპირობებს ელექტრომობილზე არჩევანის გაკეთებას?
- რა ხელის შემშლელი ფაქტორები არსებობს ელექტრომობილის სარგებლობისას?

რაც შეეხება კითხვარს, გამოკითხულებმა პასუხები გასცეს შემდეგ შეკითხვებს: რამდენ მანქანას ფლობს მათი ოჯახი ამჟამად; როგორია მათი ყოველთვიური შემოსავალი; რა ტიპის ავტომობილი ჰყავთ; ითამაშებს თუ არა ელექტრომობილი დიდ როლს გარემოსდაცვით საკითხებში; ორი ერთი და იმავე ღირებულების მქონე ავტომობილის შემთხვევაში, არჩევანს შეაჩერებს თუ არა ეკომეგობრულ ავტომობილზე; რა არის ელექტრომობილის მთავარი უპირატესობა; რა არის ელექტრომობილის მთავარი ნაკლოვანება; რა პრობლემებს აწყდება ელექტროავტომობილის მფლობელი საქართველოში; რა არის მთავარი ფაქტორი, რის გამოც შეიძინეს ან მომავალში აპირებენ, შეიძინონ ელექტრომობილი; თვლიან თუ არა, რომ სახელმწიფომ უნდა გაამკაცროს რეგულაციები ელექტრომობილების წახალისების მიზნით; მათი აზრით, სამთავრობო დაწესებულებები უნდა გადავიდნენ ელექტრო მობილებზე თუ არა; საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტოპარკი უნდა შეიცვალოს ელექტრომობილებით თუ არა.

მოსახლეობას გააზრებული აქვს ელექტრომობილების როლი ეკოლოგიური კუთხით, თუმცა, ამ თვალსაზრისით ცნობიერების ამაღლების კამპანიის გაძლიერება აუცილებელია. ელექტრომობილების ფართოდ გავრცელებას ხელს უშლის ძირითადად ინფრასტრუქტურული პრობლემები. საჭიროა წამახალისებელი ღონისძიებების გაძლიერება ელექტრომობილების მფლობელებისათვის და იმ პირთათვის, რომლებიც პოტენციურ მყიდველებად მიიჩნევიან.

დავით ძიძიკაშვილი

davit.dzidzikashvili.1@btu.edu.ge

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა

საკვანძო სიტყვები: კიბერშეტევებისგან დაცულობა; გამოყენების კომფორტულობა; პრაქტიკულობა; პერსპექტივები.

ბლოკჩეინი ანუ დეცენტრალიზებული პლატფორმა დამოუკიდებლად მართვადი სისტემაა, რომელიც თავისი მაღალარითმეტიკული ალგორითმებით ისეა ლოგიკურად აგებული, რომ თავისივე შიდა სტრუქტურიდან გამომდინარე სრულიად დაცულია ნებისმიერი კიბერშეტევებისგან (<https://www.ibm.com/topics/what-is-blockchain>).

ბლოკჩეინზე შექმნილი და არსებული ჩანაწერები ინახება უსასრულოდ მთელ ქსელში არსებულ მილიონობით კომპიუტერში. ასეთი ტიპის ციფრული ინფორმაციული ჯაჭვის არსებობა საკმაოდ პრაქტიკული აღმოჩნდა, ამიტომაც მისი გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა დარგსა თუ ბიზნესსფეროში, ნებისმიერი ორგანიზაციისა თუ ფიზიკური პირისთვის. ასეთი პრაქტიკული, უსაფრთხო და სწრაფი ტრანზაქცია თუ ინფორმაციული გაცვლა კორპორაციებსა და ბიზნესორგანიზაციებს დანაზოგებთან ერთად მრავალ სხვა დადებით შედეგსაც მოუტანს მომავალში, რადგან მისი შესაძლებლობები და გამოყენების არეალი კრიპტო პროექტების განვითარებასთან ერთად უსასრულოა.

მიმდინარე კვლევის მიზანია, მეცნიერულად დასაბუთდეს ბლოკჩეინ სისტემებისა და კრიპტოპროექტების სრული შესაძლებლობები, რომ ეს ინოვაციური პროექტები და პლატფორმები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებას. ციფრული ეკონომიკის პირველი შედეგები თავდაპირველად აისახება საბანკო-საფინანსო სფეროში. კვლევის ძირითადი აქცენტი სწორედ ამ საკითხის კვლევაა.

მიმდინარე კვლევებითა და ინფორმაციის ანალიზით განსაზღვრულია ამ უახლესი რევოლუციური ტექნოლოგიის უფრო სიღრმისეულად შესწავლა ტექნიკური პერსპექტივიდან მათი სავარაუდო ეკონომიკური ეფექტებისა და პოტენციალის სრულად გამოვლენის მიზნით.

2000-იანი წლების ბოლოს სატოში ნაკამოტომ ბლოკჩეინ სისტემის დამოუკიდებელი ფინანსური სატრანზაქციო ხედვა სისრულეში მოიყვანა ბიტკოინ კრიპტოპროექტის გაშვებით ვირტუალურ სივრცეში. ამგვარად, ბიტკოინი გახდა პირველი კრიპტოვალუტა.

კრიპტოვალუტა დეცენტრალიზებული ციფრული ფულია, რომელიც ბლოკჩეინ ტექნოლოგიაზეა დაფუძნებული.

ბიტკოინისა და ეთერიუმის გარდა, CoinGecko-ს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, დღეს 10692 კრიპტო ვალუტა და კრიპტო პროექტია ყოველდღიურ გაყიდვა - გადაცვლა - მიმოქცევაში და ამ ბაზრის საერთო მოცულობა დაახლოებით \$3 ტრილიონის ფარგლებშია ბოლო ერთი კვირის განმავლობაში (<https://www.coingecko.com>).

მაშასადამე კრიპტოვალუტა ვირტუალური ფულადი გადაცვლითი მექანიზმი - ერთეულია, რომელიც არის კრიპტოგრაფიული ენკრიფციის (მონაცემებისა და ინფორმაციის დაცულობის მიზნით სპეციალურ კოდებში გადაყვანა) მეთოდით დაცული და დეცენტრალიზებული. ბიტკოინი იყო პირველი კრიპტოვალუტა, რომელიც სატოში ნაკამოტომ შექმნა 2008 წელს, როგორც მომხმარებლებს შორის ელექტრონული ფულადი გადაცვლითი სისტემა ანუ ელექტრონული გადახდების სისტემა, რომელიც კრიპტოგრაფიულ კოდურ დასტურის მექანიზმზე იყო დაფუძნებული და არა უბრალო ნდობის ფაქტორზე, როგორიცაა ჩვეულებრივ ფიათ/fiat ვალუტაზე, როგორებიცაა აშშ დოლარი და ევრო. ამგვარად, დღეს ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია, კრიპტოვალუტა გადაცვალოს ნებისმიერი (თუ გარკვეულ, რადგან ყველა დარგში არ არის გავრცელებული კრიპტოვალუტა?) სახის გარკვეულ პროდუქტსა თუ მომსახურებაში, თუმცა ზოგიერთი მომხმარებელი ინვესტირებას აკეთებს კრიპტოვალუტაში, ისევე როგორც აქციებში თუ სხვა ფასიანი ქაღალდებსა და ძვირადღირებულ ლითონებში (აშფორდი, ქვით და შმიდტი ჯონ, <https://www.forbes.com/advisor/investing/what-is-cryptocurrency/>).

კრიპტოვალუტა და, ზოგადად, კრიპტოპროექტები, ბლოკჩეინ სისტემები ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპებზე იმყოფებიან, ამიტომაც ლიტერატურა და სტატისტიკური ბაზების დიდი ნაწილი ნაშრომში მოყვანილია ონლაინჟურნალებიდან და პროექტების მონაცემთა ბაზებიდან და მოპოვებულია არსებული ღია პლატფორმებიდან.

მაგალითებიცა და სტატისტიკური მონაცემებიც მოყვანილია საერთაშორისო გამოცდილებიდან, რადგან ამ ეტაპზე ადგილობრივი მაგალითები მინიმალურია, კრიპტოვალუტის საინფორმაციო ცოდნის სიმწირის გამო.

საკვლევი ჰიპოთეზა შემდეგია: ბლოკჩეინ სისტემები და კრიპტო პროექტები, ზოგადად, ძალიან პოზიტიურ ზეგავლენას იქონიებს არა მხოლოდ მომავალ ეკონომიკაზე, არამედ მთელ კაცობრიობაზე, რადგან ისინი ყოველდღიურ ცხოვრებას ბევრად გაამარტივებს იმ პოტენციური სარგებლით, რომელსაც მომავალი ციფრული ეკონომიკა კაცობრიობას სთავაზობს.

მომავალი ციფრული ეკონომიკა ჩვენ, მომხმარებლებს, შემოგვთავაზებს სწრაფ და უსაფრთხო ტრანზაქციებს ღილაკის გამოყენებით, სახლიდან გაუსვლელად. მისი საშუალებით შესაძლებელია ნებისმიერი ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის ჩატარება სახლიდან. მისი მომავალი და პოტენციური, დღევანდელი გადმოსახედიდან რომ ვიმსჯელოთ, უსასრულოა. სწორედ ეს არის ის სამყარო, ციფრული მომავლის ეკონომიკა, რომელიც 2035 წლამდე უკვე განვითარების უფრო მაღალ ეტაპზე ავა თავისი პრაქტიკული შედეგებით. ეს ტექნოლოგია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდება, ისევე როგორც ინტერნეტი დღეს.

ბლოკჩეინ და კრიპტოპროექტები დღეს გვთავაზობენ ციფრული ეკონომიკის განვითარების ახალ, აუთვისებელ ნიშას, რომლის სრულ შესაძლებლობები მომავალი წლების განმავლობაში გამოვლინდება. ასეთი ტექნოლოგიური განვითარება მსოფლიო კომერციას მომავალში უფრო სიღრმისეულად და არსებითად შეცვლის. მისი უპირატესობა გამოისახება სწორედ ციფრული ეკონომიკური სივრცის დაცულობაში, სისწრაფესა და უსაფრთხოებაში. ერთად აღებული ეს სისტემა უქმნის სწორედ უდიდეს საფუძველსა და პოტენციალს ამ ტექნოლოგიის უფრო სიღრმისეულ განვითარებას და ფართო დანერგვა-გამოყენებას მომავალში.

ასევე, გამოიკვეთოს საქართველოში კომერციული ბანკების მიერ შეთავაზებული საგადახდო პროდუქტებისა და სერვისების ინოვაციური განვითარების პერსპექტივები მათი ელექტრონულ არხებში გადანაცვლების შემთხვევაში. ნაშრომში შესწავლილია ისეთი აქტუალური საკითხები, როგორებიცაა:

- მომხმარებლის ქცევა მისი ციფრული სერვისების გამოყენების მზაობის განსასაზღვრად;
- გადახდების ინდუსტრიის როლის დადგენა ფინანსურ ბაზარზე დამოკიდებულების კანონზომიერების მისაგნებად;
- კომერციული ბანკების მიერ შეთავაზებული საგადახდო პროდუქტებისა და სერვისების ინოვაციური განვითარების პერსპექტივების კვლევა მათი ელექტრონულ არხებში გადანაცვლების შემთხვევაში;
- ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა ჩართული მხარეებისთვის;
- მიმდინარე სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება გადახდების ოპერაციების შესახებ სხვადასხვა ჭრილში: საქართველო vs გლობალური მონაცემები;
- მშპ შემადგენელი კომპონენტების იდენტიფიცირება და დეტალურად შესწავლა, მის რომელ კომპონენტებზე აქვს გავლენა ფინანსურ ოპერაციებს;
- ხელოვნური ინტელექტის ელემენტების შემცველი ბიზნესმოდელების შემუშავება და მათი საგადახდო ინდუსტრიაში ინტეგრაციით მიღებული ეფექტის გაზომვა კიბერნეტიკული ხერხებით (ექსპერიმენტის მეთოდით), ასევე მათემატიკური კანონზომიერების მიგნება ფინანსური სერვისების გაციფრებასა და ეკონომიკის ეფექტიანობას შორის.

ძლიერი ავთენტიფიკაციის (PSD2) სტანდარტის დაკმაყოფილება მასშტაბური ტექნოლოგიური გადაიარაღების აუცილებლობას ქმნის, რაც მსხვილ კაპიტალდაბანდებებს უკავშირდება. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ფინანსური რესურსის გამოყოფას კი ყოველთვის დიდი მონდომებით არ უდგება ბიზნეს სექტორი, რომლისთვისაც აუცილებელია დაინახოს, რა ფინანსური სარგებელი შეიძლება მოჰყვეს ინვესტიციას მაღალტექნოლოგიურ სისტემებში.

ეკოსისტემის მონაწილე მხარეების მენეჯერთათვის მნიშვნელოვანია მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნის არსებობა - რა ეკონომიკური ეფექტი აქვს გაციფრების რელსებზე გადართვას. ციფრული ეკონომიკა, პირველ რიგში, ფულადი რესურსის ციფრულ არხებში გადაადგილებასა და უნაღდო ანგარიშსწორებას მოიცავს, რომლის განვითარებასა და მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებაზე საერთაშორისო საგადახდო სქემებთან (VISA, Mastercard, American Express, Diners, JSV, UP...) ერთად კომერციული ბანკები და გადახდების ინდუსტრიის სხვა მონაწილეები ცდილობენ.

საგადახდო სისტემების როლი შეუცვლელია ჩვენთვის, როგორც ინდივიდებისთვის და, ასევე, ეკონომიკის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის. საგადახდო სისტემა ფულს ანიჭებს შესაძლებლობას, რომ მან შეიძინოს გაცვლითი მნიშვნელობა საქონლისა თუ სერვისის შესყიდვისას (Rambure and Nacamuli, 2008, 3).

გადახდის ოპერაციის სისწრაფე, უსაფრთხოება, ფასი და მოხერხებულობა არის მომხმარებლის კმაყოფილების ძირითადი საზომები.

ოპერაციის დადასტურებაზე გადანაცვლების მილიწამებში მიღების შესაძლებლობას ღრმა მანქანური სწავლება იძლევა.

საგადახდო სქემა VISA მიიჩნევს, რომ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის გამოყენება ტრანზაქციის დადასტურება/უარყოფის პროცესში უნდა მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ტექნოლოგია მაღალი ხარისხის ნიშნულზე ავა და არ გამოიწვევს დროის ინტერვალის გაზრდასა და VISA Net ქსელის სტაბილურობას არ შეუქმნის საფრთხეს.

ხელოვნური ინტელექტის ყველაზე მოწინავე ფორმების გამოყენება მოითხოვს მონაცემთა ბაზების ფართო მასივებთან წვდომას, რაც გლობალური საგადახდო სქემებისა და მათი მკვლევრებისათვის ხელმისაწვდომია სრულიად მსოფლიოს მასშტაბით (www.visa.com).

ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით იქმნება ძლიერი ტექნოლოგია მომხმარებელთათვის გადახდის პროცესის სარგებლიანობის უზრუნველსაყოფად, რომელიც აბსოლუტურად უსაფრთხო გარემოში კომფორტული გადახდების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა ყოველგვარი დაყოვნების გარეშე.

მნიშვნელოვანია გადახდების ინდუსტრიაში ჩართული მხარეების პოზიციების გაზიარება, რომელთაც საკუთარი სტრატეგიული ხედვა უახლოეს 3-5 წელიწადზე მაინც აქვთ გათვლილი და, შესაბამისად, კვალიფიციურად პროგნოზირებულიც - თუ რა მოლოდინები უნდა გვქონდეს უახლოეს წლებში საგადახდო ინსტრუმენტებისა და, ზოგადად, სამომავლო ფულის, როგორც გაცვლის ერთეულის, ფილოსოფიურ ტრენდებზე.

ნაშრომში წარმოდგენილი რაოდენობრივი და დარგის სპეციალისტებისა და მარეგულირებელი სფეროს წარმომადგენელთა თვისებრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ასევე მათემატიკური მოდელირების მეშვეობით დგინდება ურთიერთდამოკიდებულებები ტექნოლოგიებში ჩადებულ ინვესტიციებსა და მიღებულ ფინანსურ სარგებელს შორის. ფინანსური სექტორის მომგებიანობის გაზრდა კი კორელაციურ დამოკიდებულებაშია მთლიან ეროვნულ პროდუქტთან, რაც ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით კეთილდღეობის მაჩვენებელს უპირობოდ აუმაჩვენებს (მშპ).



სტუდენტური საბავსნიერო კონფერენცია



2021 წელი